ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს

№80 (1590) 9-12 აგვისტო, 1997 წელი

## ჯაბა იოსელიანმა შიმშილობა გამოაცხადა



გეა-ს კორესპონდენტის ცნობით, წინასწარი გამოძიების იზოლატორში მყოფმა ჯაბა იოსელიანმა შიმშილობა გამოაცხადა.

გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

## ნადარეიშვილი საქართველოს დსთ-დან გამოსვლის საკითხს აყენებს

სრულიად საქართველოს დევნილთა სრულუფლებიან და საგანგებო ყრილობაზე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთი გზა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაა. მისი თქმით, რუსეთის სამშვიდობო ჯარების გასვლის შემდეგ, არსებობს რამდენიმე მოსალოდნელი ვარიანტი:

1) რუსეთის ჯარები შეიცვალოს გაეროს ჯარებით,

2) სამშვიდობო ძალები დსთ-ს წევრი ქვეყნების (უკრაინა, აზერბაიჯანი და სხვა) ჯარებმა შეცვალონ,

3) სამშვიდობო ძალები შეცვალოს საქართველოს შსს-ს, უშიშროებისა და აფხაზეთის ძალისმიერმა სტრუქტურებმა.

ამ ვარიანტებიდან ნადარეიშვილისთვის უკანასკნელია მისაღები, რომლის ავტორიც თავად აფხაზეთის უზენაესი საბჭოა.

ამავე დროს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აყენებს საქართველოს დსთ-დან გამოსვლის საკითხს. (გეა)

## „ომი ჯერ არ დამთავრებულა"

გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 4 სთ-ზე მუშაობა დაიწყო დევნილთა ყრილობამ.

ყრილობა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს წევრმა გივი კილასონიამ. დასაწყისისათვის რეგისტრაცია გაიარა 2330 დელეგატმა. რეგისტრაცია არ გაუვლიათ დელეგატებს ზუგდიდის რაიონიდან. ყრილობა დალოცა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა. მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა ხსოვნას.

დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანა.

როგორც საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი"-ს ლიდერმა გერმანე ფაცაციამ განაცხადა, ეს ფორუმი აფხაზეთში დაბრუნებისა და ლტოლვილების გაერთიანების საფუძვლად უნდა იქცეს.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის თქმით, აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებითაა შესაძლებელი. „ჩემს მისიას შესრულებულად მაშინ ჩავთვლი, როცა სოხუმში საქართველოს სახელმწიფოებრიობის დროშა აღიმართება" - განაცხადა თ.ნადარეიშვილმა. მისი თქმით, ...ებით დამთავრდა ბრძოლა, მაგრამ ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ყრილობის გადაწყვეტილება ცალსახა უნდა იყოს - რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უნდა დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია. მისივე თქმით, ის ვაკუუმი, რომელიც მათი გასვლის შემდეგ დარჩება, საქართველოს ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა შეავსონ. „300 ათასი ლტოლვილი წარმოადგენს 60 ათას რეზერვისტს, რომლებიც მზად არიან ხელში აიღონ იარაღი. მათ თავდაცვის სამინისტროს საკმაოდ კარგად შეიარაღებული არმიაც დაემატება" - განაცხადა მან.

როგორც თ.ნადარეიშვილმა განაცხადა, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების და აფხაზთა სეპარატისტი ლიდერის შეხვედრა არ შედგება მანამ, სანამ არ შეიქმნება დოკუმენტი, რომელშიც აისახება ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება.

ყრილობაზე გამოსულმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ყოლბაიამ დელეგატებს გონიერებისა და აუჩქარებლობისკენ მოუწოდა. თუმცა აქვე განაცხადა, რომ „თუ აფხაზეთის პრობლემა უახლოეს მომავალში მშვიდობიანი მეთოდებით არ გადაწყდება, ის მეომრები, ვინც მზად არიან თავი შესწირონ აფხაზეთს, არც ისე ცოტანი არიან".

დარბაზიდან შეკითხვაზე, თუ რატომ არ ესწრება ყრილობას პრეზიდენტი, გივი კილასონიამ უპასუხა: „ეს ლტოლვილთა და დევნილთა ყრილობაა..."

„იფრინდა"-ს კორესპონდენტთან საუბარში ფრაქცია „აფხაზეთი"-ს წევრმა ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ იგი ყრილობისაგან ლტოლვილთა და დევნილთა ერთიანობას ელის. ყრილობამ უნდა მიიღოს დადგენილება რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლის შესახებ. „ილუზიებით არ ვიკვებებით, ვიცით, სად ვცხოვრობთ და რა ხელისუფლება გვყავს. ჩვენ ვთვლით, რომ არ შეიძლება არსებობდეს ხელისუფლება, რომელიც მისი ერის მოთხოვნას უგულვებელყოფს. ხალხი ჯერ კიდევ ენდობა ხელისუფლებას, მაგრამ ამ ნდობას მხოლოდ რამდენიმე დღის ვადა აქვს" - განაცხადა ბ.კაკუბავამ. (იფრინდა)

## მოსკოვი კვლავ ცდილობს შევარდნაძეზე ზეწოლას



რუსეთი ედუარდ შევარდნაძეზე ზეწოლის მოხდენას ცდილობს მას შემდეგ, რაც დაკარგა ინიციატივა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში და მას საქართველო-ჩეჩნეთის კავშირით დაემუქრა. მოსკოვმა, არ გააჩნია რა სხვა რამ უკეთესი, უკვე მერამდენედ გადაწყვიტა უიღბლო - ტერორისტი იგორ გიორგაძის კარტის გათამაშება, რომელიც არაერთხელ დაიმუქრა „მოსკოვის იატაკქვეშეთიდან" საქართველოს საშინაო საქმეებში „ქირურგიული ჩარევით".

შევარდნაძეზე თავდასხმის მზადების შესახებ ცნობა მიმდინარე წელს პირველად „მოსკოვსკიე ნოვოსტის" ბოლო ნომერში გამოჩნდა. გაზეთის თბილისელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ 1995 წელს შევარდნაძეზე უშედეგო თავდასხმის ორგანიზებაში მხილებული რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი იგორ გიორგაძე შემჩნეულია ხშირ კონტაქტებში ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სადაზვერვო სამსახურის ყოფილ შეფთან ევგენი მარუსინთან.

გაზეთი სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება, რომ შევარდნაძის ფიზიკური განადგურება იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ საქართველო უეცრად სამშვიდობო ძალების გაყვანას და თავის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების გაუქმებას მოითხოვს.

რუსეთმა, რომელსაც პრაქტიკულად აღარ ენდობიან თბილისში, როგორც შუამავალს, დაკარგა ინიციატივა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში შევარდნაძის ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ. შევარდნაძემ აშშ-ის მხარდაჭერა მოიპოვა და ჟენევის მოლაპარაკებებში საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმაც მიიღეს მონაწილეობა, რომელთა მიდგომა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისადმი მნიშვნელოვნად განსხვავდება რუსეთის პოზიციისაგან.

შევარდნაძეს სერიოზული საფუძვლები უნდა გააჩნდეს, რომ საქართველომ წინანდებურად მიიღოს რუსეთის წინადადებები. ასეთი „სერიოზული საფუძვლები" ადრე იყვნენ „არყის ხის წვენის მოყვარულები" უშიშროების ექს-მინისტრის შოთა კვირაიას სახით და მოსკოვში ქართული დიასპორის წარმომადგენლები, რომლებიც გამუდმებულ საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყნის უსაფრთხოებისათვის.

თავდასხმაში ყველაზე არასასიამოვნო ისაა, რომ არ იცი, ვინ და სად ამზადებს მას, ხოლო თავად პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე უკეთ არავინ უწყის, თუ რამდენი არაკეთილმოსურნე ჰყავს მას.

რუსეთის სპეცსამსახურებმა უკვე რამდენჯერმე სცადეს შევარდნაძის აფეთქება და ალბათ ძნელია იმ შეგრძნებით ცხოვრება, რომ 1995 წლის კოშმარი შეიძლება კიდევ განმეორდეს. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი არაა ის კაცი, რომლის პოზიციაზე მისი პირადი უსაფრთხოების მუქარით იმოქმედებ.

შევარდნაძისადმი ტერაქტით დამუქრებას, რომელმაც კარგად იცის ნებისმიერი სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენება, შეიძლება დადებითი მხარეც ჰქონდეს და უარყოფითიც. თავდასხმის საშიშროება მოხერხებულ მიზეზად შეიძლება გამოდგეს პრეზიდენტ ელცინის მიწვევაზე უარის სათქმელად, თუ წინასწარვე გაირკვა, რომ შეხვედრა შედეგს ვერ გამოიღებს.

**მიხეილ თავხელიძე,**
პრაიმ-ნიუსი

## რა აინტერესებს შევარდნაძეს?

„დღევანდელმა ყრილობამ უფრო მიტინგის სახე მიიღო, ვიდრე სახალხო თავყრილობისა, ამიტომაც მჯერა იგი ვერაფერს გადაწყვეტს, მით უფრო, რომ ისეთმა წარმომადგენლობითმა ორგანომაც კი, როგორიც პარლამენტია, ვერ შეასრულა მიღებული დადგენილება 31 ივლისთან დაკავშირებით. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ შევარდნაძეს არ აინტერესებს დევნილთა გადაწყვეტილება, ამას ისიც ადასტურებს, რომ მან დღევანდელ ყრილობაზე მოსვლაც კი არ ინება" - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბარში ფრაქცია „აფხაზეთის" წევრმა თორნიკე ფიფიამ.

მისი თქმით, თუ დევნილი მოსახლეობა უნდობლობას გამოუცხადებს ხელისუფლებას, ეს უნდა მოხდეს მასობრივი აქციების და არა რეზოლუციების მიღების გზით. „საქართველოს პრეზიდენტისთვის, როგორც ჩანს, ხალხის სიტყვა არაფერს ნიშნავს, რადგან მას უჭირს რუსეთთან სტრატეგიული კავშირის გაწყვეტა".

თორნიკე ფიფიას განცხადებით, გამოსავალი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის, ერთადერთია - რუსეთმა უნდა დატოვოს კავკასია, თუმცა ეს გზა ხელისუფლების მენტალიტეტის შეცვლას ითვალისწინებს, რაც საკმაოდ გაუჭირდება საქართველოს ხელმძღვანელობას. (გეა)

## ფაცაცია უარყოფითად აფასებს

„სრულიად საქართველოს დევნილთა ყრილობა მოელოდა, რომ პრეზიდენტი მოსვლით თუ არა, მიმართვის გამოგზავნით მაინც დააფიქსირებდა თავის პოზიციას დევნილთა შესახებ, მაგრამ ედუარდ შევარდნაძეს დევნილთა ყრილობის მიმართ არ გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება" - განაცხადა გუშინ გამართულ სრულიად საქართველოს დევნილთა სრულუფლებიან და საგანგებო ყრილობაზე ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარემ გერმანე ფაცაციამ.

მისივე თქმით, ხელისუფლებამ 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილების დაფიქსირებით რუსეთის სამშვიდობო ძალებს დარჩენის შანსი დაუტოვა.

გერმანე ფაცაციას იმედი აქვს, რომ სექტემბერში დაგეგმილი კავკასიური პარლამენტის პირველი ყრილობა გადაწყვეტს კავკასიის პრობლემას. რაც შეეხება ჟენევის მოლაპარაკებებს, სადაც საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს აფხაზეთში პოლიტიკურ გარდაქმნებს და აღიარეს იქ არსებული დემოკრატიული ძვრები, ფაცაცია უარყოფითად აფასებს მის შედეგებს. (გეა)

# მსოფლიო ბანკი შეისწავლის

მსოფლიო ბანკმა 1 აგვისტოდან დაიწყო ევროპაში კასპიის ბასეინის „დიდი“ ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების საკითხის შესწავლა საქართველოსთან აპრილში ხელმოწერილი პროექტის საფუძველზე.

საქართველოს ხელისუფლებისათვის პროექტის დირექტორის ჯუდი ოკონერის მიერ გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ მსოფლიო ბანკი 1,4 მილიონი დოლარის გამოყოფას აპირებს საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობის ტრანსპორტირების ეფექტურობის ყოველმხრივი ექსპერტული შეფასების გასაკეთებლად.

როგორც წერილის ერთ-ერთმა ადრესატმა, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიამ უთხრა პრაიმ-ნიუსს, მსოფლიო ბანკი პროექტის ფარგლებშიც მხარდაჭერას გაუწევს საქართველოს ნავთობსადენის საბოლოო მარშრუტის განსაზღვრისთვის გამართულ მოლაპარაკებებში.

საქართველოს გარდა, რომლის ტერიტორიაზე ორი მარშრუტია ნავარაუდევი – ბაქო-ჯეიჰანი და ბაქო-სუფსა, „დიდი“ ნავთობის ტრანსპორტირების მოპოვებისათვის რუსეთიც იბრძვის. მისი „ჩრდილოეთის მარშრუტი“ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადის.

მარშრუტების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას უახლოეს დროში მიიღებს აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კომპანია, ხოლო „დიდი“ ნავთობის მიწოდება აზერბაიჯანის კასპიის საბადოებიდან 2003–2004 წლებისთვისაა ნავარაუდევი.

ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა აშშ-ში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ იგი თავის ყველა გავლენას გამოიყენებს, რათა „დიდმა“ ნავთობმა ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტით გაიაროს, რომელიც საქართველოს სამხრეთ ტერიტორიას კვეთს. (პრაიმ-ნიუსი)

# ალიევი კმაყოფილია

7-8 აგვისტოს ღამით ბინის აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციით პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელობით, რომელიც 27 ივლისიდან 7 აგვისტომდე პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ვიზიტი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა და კმაყოფილი ვარ მისი შედეგებით. ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობების განვითარებაში დიდი წარმატებებია მიღწეული და ახალი შესაძლებლობებიც გამოინახა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისა და განვითარებისათვის“ – უთხრა ალიევმა ჟურნალისტებს აეროპორტში ჩამოსვლისას.

მისი თქმით, ყარაბაღის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამერიკისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილ განცხადებაში.

აეროპორტში ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ ალიევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკვე ნახა თავისი ახალშობილი შვილიშვილი და მას თავისი სახელი დაარქვა. (პრაიმ-ნიუსი)



# ის საქართველოს მოუკვდა

წინანდალში ვიყავით.

შემოდგომაზე წინანდალი ყველაზე ლამაზია ამ დუნიაზე.

18–19 წლის გოგო-ბიჭები, სტუდენტები, ფილოლოგები, უნივერსიტეტელები...

ყველაზე ლამაზი წლებით, ლამაზები და იმედიანები, უმიზეზოდ მხიარულები, წინანდალში ვიყავით.

ერთადერთი ამ მხიარულ სახეთა შორის, ერთადერთი, სასაცილოდ მოწყენილი, სევდითა და მშვენებით გამორჩეული ქალიშვილი გასაქანს არ მაძლევს, სულ *იმაზე* სურს საუბარი. რა ბუნება, რომელი სალონი, რომელი ალექსანდრე ჭავჭავაძე, იმაზე, მხოლოდ იმაზე მელაპარაკება.

სად ვნახე, რა მითხრა, როგორ გამოიყურებოდა, მასზე ხომ არაფერი დასცდენია...

ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს.

შეყვარებულია ეს გოგონა და მისი შეყვარებული, მეგობარი ჩემი.

წინანდალში ვიყავით ახალგაზრდები, მეოცნებენი. 20 წლის წინათ...

* * *

აგერ, ახლახან, 2 კვირაც არ იქნება გასული, აღმაშენებლის გამზირზე მანქანების რია-რიაში, ცხელ ხვატში, ქუჩაზე შაოსანი მანდილოსანი გადმოდის. ვინ არ გადასულა ქუჩაზე, მაგრამ სხვანაირი იყო სურათი. თავდაღუნული, შუბლშეკრული, ფიქრებში ჩაძირული გადმოდის. მოაბიჯებს რია-რიაში, მანქანების სირენებში...

გადმოვიდა. გავაჩერე, მოვიკითხე.

ფიფია იყო, ირინა, ის მეოცნებე გოგონა, ოცი წლის წინათ თავის შეყვარებულზე კითხვებით რომ „გამომთიშა“ ექსკურსიას.

მისი შეყვარებული კი, უკვე ერთი წელია, სწორედ დღეს გახდა ერთი წელი, ჩვენს შორის აღარ არის.

ჰო, შეყვარებული, ოჯახიც შექმნეს, ორი შვილი გაზარდეს, მაგრამ ისევ შეყვარებულები ეთქმოდათ.

ერთი წელია ოჯახს გამოეცალა თემურ ფიფია.

* * *

ერთი წელი შესრულდა, რაც მეგობრებს დაგვაკლდა თემური. ადრე დაობლდა, ობლის კვერი მაგრად გამოცხვა, ყმაწვილობიდანვე პასუხისმგებლობის ტვირთაკიდებული, მეგობრებში, თანატოლებში მუდამ უფროსი იყო, მუდამ სხვისი პატრონი, სხვაზე მზრუნველი. ლელო თავისი ცხოვრებისა ხელწამოუკვრელად გაიტანა.

ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათან, ვერც კი შევამჩნიეთ, ეს ჩვენი ძმაკაცი, ჩვენი ტოლი და სწორი, სუფრაზე ჩვენთან მომლხენი, სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ქცეულიყო.

* * *

ერთი წელია საქართველოს დააკლდა თემურ ფიფია.

ის სერიოზული მეცნიერი იყო და, როგორც წესი, თუ სერიოზული მეცნიერები იმავდროულად სახელმწიფო სამსახურშიც არიან, ამაზე ირონიით ან ქედმაღლობით, მეცნიერების ღირსებაზე ხაზგასმით იტყვიან, ჩინოვნიკი ვარო. აქაოდა, ჩემი ეს მდგომარეობა დროებითია, ლუკმა-პურს რა ვუთხარი, ოჯახის პრობლემებზე წუხილს, თორემ მე უფრო მაღალი იდეებით უნდა ვიყო დაკავებულიო.

თემური პირიქით, თავის ჩინოვნიკობაზე ხაზგასმული სიამაყით გეტყოდათ. სულ უნდოდა ყველას გაეცნობიერებინა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მოხელე სხვა კაცი უნდა იყოს.

ჩვენ მივეჩვიეთ, იმ ავადსახსენებელი სახელმწიფოს, რომელსაც თემურ ფიფია, როგორც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ებრძოდა, სახელმწიფო მოხელეთა, ჩინოვნიკთა ავადხსენებას. მართალნიც ვიყავით. მაგრამ ძველი სტერეოტიპები ახალ დროშიც გადმოვიტანეთ.

აბა, დაფიქრდით, რა კარგად ჟღერს – საქართველოს სახელმწიფოს მოხელე.

თემური ამ ცნებაში იმ შინაარსს დებდა, რაც უნდა იდოს. პატიოსნებას, პრინციპულობას, ქვეყნის სამსახურისთვის მზაობას ყოველ წუთში.

აკი ასეც ცხოვრობდა. დღეს ხევსურეთს იყო, ხვალ სვანეთს. ერთ დღეს მესხეთში, მეორე დღეს სამეგრელოში. სოხუმის გოლგოთაც გამოიარა.

ის საქართველოს სახელმწიფოებრიობას აკოწიწებდა. ის სახელმწიფოებრივად აზროვნებდა.

მისი სიცოცხლე ძალიან ჭირდებოდა ჩემს ქვეყანას. ის საქართველოს მოუკვდა და არა მხოლოდ დედას, ძმას, მეუღლეს, შვილებსა და მეგობრებს.

**ნოდარ მრიმალაშვილი**

# ასე თუ გაგრძელდა, საქართველო ერთ დიდ ციხედ იქცევა

*ინტერვიუ ადვოკატ სოსო არევაძესთან*

*– როგორც ვიცით, ე.წ. „ბორჯომის საქმე“ დამთავრდა და დამნაშავეები დაისაჯნენ. მაგრამ დაკავებულთაგან თეიმურაზ ელისაშვილი არ გაუსამართლებიათ და მისი საქმე ცალკე გამოიყო. თქვენ ელისაშვილის ადვოკატი ბრძანდებით. რატომ მოხდა მისი საქმის ცალკე გამოყოფა?*

– წინასწარი გამოძიების მიერ ელისაშვილის მიმართ საქმის გამოყოფა მოხდა უსაფუძვლოდ. თავისუფლად შეეძლოთ საქმე გადაეგზავნათ უზენაეს სასამართლოში განსახილველად ძირითად საქმესთან ერთად.

*– ბორჯომის იმ საშინელ საქმეში რა დანაშაულის წილი მიუძღოდა თეიმურაზ ელისაშვილს?*

– საბრალდებო დასკვნის მიხედვით თ.ელისაშვილს ბრალი ედებოდა თამაზ კურტანიძესთან ერთად სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცებაში და სამსახურებრივ სიყალბეში.

*– რა თანამდებობა ეკავა თ.ელისაშვილს?*

– იგი იყო ბორჯომის „კურორტვაჭრობის“ დირექტორი.

*– ე.ი. შეეძლო თავისუფლად დაეტაცებინა ქონება?*

– საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ ეპიზოდში ე.ი. ბორჯომის მინის ტარის ქარხნიდან 65050 ცალი 0,5 ლიტრი ტევადობის ცარიელი ბოთლის დატაცება განაჩენის დასკვნით ნაწილში უდაოდ დადასტურებულად მიუჩნია თამაზ კურტანიძეს და არ მოიხსენია სხვა პირი, ან პირთა ჯგუფი. აღნიშნულ დასკვნამდე სასამართლო კოლეგია მივიდა საქმეში არსებული მასალების მიხედვით.

*– ესე იგი, ელისაშვილს არაფერი დაუტაცებია?*

– საქმის მასალების მიხედვით ნებისმიერი პროფესიონალი მივა იმ დასკვნამდე, რომ თ.ელისაშვილი ამ ეპიზოდში დამნაშავე არაა. მაგრამ იგი 8 თვეზე მეტი უკანონოდ იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. ჩემს მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე, სადაც დასაბუთებული მქონდა თ.ელისაშვილის უდანაშაულობა, წინასწარმა გამოძიებამ უსაფუძვლოდ მითხრა უარი.

*– სამსახურებრივი სიყალბის ბრალდება რაში მდგომარეობდა?*

– აღნიშნული ბრალდებაც უკანონოდ წარუდგინეს. ვინაიდან იგი არ წარმოადგენდა ბორჯომის №2 ჩამოსასხმელ ქარხანაში თანამდებობის პირს, არ ამოძრავებდა არავითარი პირადი მოტივი, იგი იყო ქარხნისათვის გარეშე პირი.

როგორც აღვნიშნე, გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ავადმყოფი, დიაბეტით დაავადებული, შრომისუნარდაქვეითებულ, ინსულინზე დამოკიდებულ ელისაშვილს შეულახა კანონიერი უფლებები. ამაზე მეტი ანტიჰუმანურობა რა უნდა იყოს. მითუმეტეს, რომ ნერვიულობისაგან ამ პერიოდში მას გარდაეცვალა დედა. ოჯახი ჩავარდა მძიმე ფსიქოლოგიურ და სოციალურ მდგომარეობაში.

*– სხვა დარღვევები თუ იყო?*

– ვინაიდან სანქცია გაცემული იყო გენპროკურორის მიერ, გამომძიებელმა აღნიშნული სანქცია გახადა წმინდა და ხელშეუხებელი.

*– დღეს რა მდგომარეობაა?*

– გამოძიება ძალიან უსუსურია. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს უსულგულო დამოკიდებულებას. იმედია, ამას მალე მოეღება ბოლო და ადვოკატი არ იქნება ისეთი დაუცველი და რეალურად უუფლებო, როგორიც დღესაა. ამჟამად ელისაშვილის საქმის განხილვა 12 აგვისტოს, ბორჯომის რაიონის სასამართლოშია დანიშნული. მოსამართლემ გამოძიებისგან მიწოდებული საქმის მასალებით თეიმურაზ ელისაშვილი სამართალში მისცა. ჩემი აზრით, სასამართლოში, დასაწყისშივე შელახულია კანონი. ვინაიდან საქმის მასალების მიხედვით ან უნდა შეწყვეტილიყო საქმე თ.ელისაშვილის მიმართ, ან უნდა დაბრუნებულიყო საქმე დამატებით გამოძიებაში; თ.ელისაშვილს კი უნდა შეცვლოდა აღმკვეთი ღონისძიება – წინასწარი პატიმრობა, გაუსვლელობის ხელწერილით, ან სხვა სახის ღონისძიებით. დამატებით გამოძიებაში დაბრუნებული საქმის შემდეგ გამომძიებელი იძულებული გახდებოდა შეეწყვიტა ელისაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე.

*– ესე იგი, თავიდანვე თვლით, რომ სასამართლო არაობიექტური იქნება?*

– მოსამართლე მხოლოდ კანონს ექვემდებარება. როდესაც საქმის განხილვა ხდება, არ შეიძლება ზეწოლის მოხდენა მოსამართლეზე თუნდაც მეგობრული ან კოლეგიალური გრძნობების მოშველიებით. ეჭვი მებადება, რომ მოსამართლეზე ცდილობენ ზემოქმედებას რესპუბლიკის პროკურატურიდან, რათა მოხდეს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა. იმ შემთხვევაში, თუ გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი, თავისთავად ნიშნავს, რომ პასუხი უნდა აგოს იმან, ვისაც ელისაშვილი უკანონოდ ჰყავდა 8 თვის განმავლობაში დაპატიმრებული. საქართველოში იშვიათია გამამართლებელი განაჩენი, რაც იმის მაუწყებელია, რომ შორს ვართ სამართლებრივი სახელმწიფოსაგან და სამართლებრივი ბაზა მთლიანადაა შესაცვლელი.

სამართალდამცავთა ინტერესში არ უნდა შედიოდეს ის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაგზავნონ ციხეში. ამჟამად იმდენი დანაშაული ხდება, რომ უდანაშაულოთა დასჯა ყოვლად აღმაშფოთებელია. დამნაშავე და უდანაშაულო თუ ვერ გავარჩიეთ ერთმანეთისაგან, საქართველო მალე ერთ დიდ ციხედ იქცევა...

**მანანა იაშვილი**

# კანონის დარღვევებს დაარეგულირებს

გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში განიხილეს კანონპროექტი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“.

აღინიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არქიტექტურული სამუშაოები ყოველგვარი ნებართვის გარეშე მიმდინარეობს. მაგალითად, მშენებარე 870 ობიექტიდან 650 უნებართვოა. კომიტეტში განსახილველად შემოტანილი კანონი ამ დარღვევებს დაარეგულირებს.

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში საორგანიზაციო დარღვევების შედეგად, კერძოდ, მშენებლობის დაწყება ნებართვის გარეშე, პროექტით, რომელსაც გავლილი არა აქვს ექსპერტიზა, ულიცენზიოდ, უტენდეროდ, ობიექტის ექსპლოატაციაში მიღების წესების დარღვევის შემთხვევაში, საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია ჯარიმდება კანონით განსაზღვრული წესით.

იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულმა პირმა, ერთი წლის განმავლობაში ორჯერ დაარღვია წესები, მას დროებით შეუჩერდება ან საერთოდ ჩამოერთმევა სამშენებლო საქმიანობის ლიცენზია. ამასთან, თუ სამშენებლო სამუშაოების არასწორად ჩატარების გამო შენობამ დაკარგა სიმტკიცე და მდგრადობა, ორგანიზაცია, რომელიც მშენებლობას აწარმოებს, 7–9 ათასი ლარით ჯარიმდება. თუ დარღვევამ საიმედოობის დაქვეითება გამოიწვია, ჯარიმა 500-დან 5000-მდე ლარს შეადგენს.

სამშენებლო საქმიანობაში ორგანიზაციული წესების დარღვევისთვის მაქსიმალური ჯარიმა 3000 ლარით შემოიფარგლება.

ჯარიმის თანხა ათი დღის ვადაში უნდა გადაირიცხოს ბიუჯეტში. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ თანხას დაჯარიმებული ორგანიზაციის ანგარიშიდან საგადასახადო სამსახურის შესაბამისი ორგანოები ამოიღებენ.

უსაფუძვლო საჯარიმო სანქციის გაცემის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, არქიტექტურული მშენებლობის ინსპექცია ჯარიმდება საჯარიმო სანქციის ორმაგი ოდენობით, ამ თანხის 20% გადაირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში, 30% – ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო 50% – მოსარჩელის ანგარიშზე. (ვეა)

# «პროფესიულ განათლებას უნდა მიეცეს პრიორიტეტი»

განაცხადა გუშინ საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარის“ სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარემ ვახტანგ რჩეულიშვილმა.

სხდომას უნდა დასწრებოდნენ განათლების, ეკონომიკის, სოცუზრუნველყოფისა და ფინანსთა მინისტრები, რომელთაც საქართველოს პრეზიდენტმა უშუალოდ დაავალა დაწყებითი პროფესიული განათლების საკითხის მოგვარება. სხდომაზე არც ერთი მინისტრი არ გამოცხადდა, რამაც თავმჯდომარის გულისწყრომა გამოიწვია. ვ.რჩეულიშვილის თქმით, საქართველოს პრეზიდენტი – ქვეყნის პირველი პირი, იცავს დემოკრატიულ პრინციპებს, თანამშრომლობს ოპოზიციასთან, მინისტრები კი ოპოზიციას არაფრად აგდებენ და მხოლოდ მოქალაქეთა კავშირთან თანამშრომლობენ.

პროფესიული განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარის თქმით, საქართველოში უნდა იყოს იმდენი პროფესიული სასწავლებელი, რამდენიც ქვეყანას სჭირდება. ზოგადი განათლების გარეშე, მარტივი ხელობის შესწავლით, იმ დაწესებულებებში, რომელთაც დღეს ხელობის სასწავლებელი ჰქვია, ახალგაზრდობა იძულებით კი არა, შეგნებულად მიდის. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ურთიერთობის ასეთი ფორმა მიუღებელია“

საპატრიარქოს პრესცენტრის ცნობით, ბოლო დროს პრესის საშუალებით გახშირდა ბერების ღია წერილები, შეკითხვები და მიმართვები მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმიდა სინოდის მიმართ. ამასთან დაკავშირებით საპატრიარქოს პრესცენტრმა გაავრცელა განცხადება:

„საერთოდ ურთიერთობის ასეთი ფორმა ეკლესიისათვის მიუღებელია და სჯულის კანონით ისჯება. თუ სასულიერო პირთ მართლაც აინტერესებთ პასუხები გარკვეულ საკითხებზე, უნდა მიმართონ უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქს და წმიდა სინოდს და არა პრესას და საქმეში ჩაუხედავ, გაუცნობიერებელ მკითხველებს.

სადავო და სხვადასხვა საღვთისმეტყველო საკითხების შესწავლისა და განხილვის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოში სპეციალური ჯგუფი გამოიყო, რომლის მიზანია განდგომილ ბერებთან ურთიერთობა გაარკვიოს, შეისწავლოს მათ მიერ წამოყენებული პრეტენზიები, აწარმოოს მოლაპარაკება და შემდეგ სათანადო წინადადებები წარუდგინოს კათოლიკოს-პატრიარქსა და წმიდა სინოდს.

ჯგუფის ხელმძღვანელია პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი.

თუ განდგომილ ბერებს მართლაც აინტერესებთ ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ვიწვევთ მათ ამ ჯგუფთან პირველ შეხვედრაზე საპატრიარქოში ა.წ. 8–9 აგვისტოს, 12 სთ-ზე“. (გეა)

## ძალისმიერი სტრუქტურები მზად არიან

საინფორმაციო-ანალიტიკურმა ბიურო გეა-მ გაავრცელა ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზუგდიდში დევნილებთან შეხვედრის შესახებ. ჩვენი ზუგდიდელი კორესპონდენტის ცნობით, ნადარეიშვილმა ამ შეხვედრაზე განაცხადა, რომ თუ 31 აგვისტომდე საქართველოს მთავრობა გადამწყვეტ ზომებს არ მიიღებს, მაშინ აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება საკუთარი ძალებით შეეცდება კონფლიქტის ძალისმიერი ხერხებით გადაჭრას.

ამასთან დაკავშირებით გეა-ს დაუკავშირდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეს-სამსახური და აცნობა, რომ თამაზ ნადარეიშვილი მხოლოდ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმების შემდეგ აპირებს მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას. ამასთან, იგი მუდმივად ცდილობს დაარწმუნოს ხელისუფლება, რომ სამშვიდობო პოლიტიკური მოლაპარაკებების ვადა დიდი ხანია ამოიწურა და თუ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება გაიზიარებს ამ აზრს, ნადარეიშვილის თქმით, აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ძალისმიერი სტრუქტურები მზად არიან სახელმწიფო დონეზე ნებისმიერი დავალების შესასრულებლად. (გეა)

# სიხარული უსაფუძვლო გამოდგა

*თბილისელების სიხარული იმის თაობაზე, რომ დედაქალაქის ბუნებრივი გაზით მომარაგება კვლავ ჩვეულ რიტმში ჩადგა, უსაფუძვლო გამოდგა, რადგან პირველი აგვისტოდან თბილისის მოსახლეობას ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყდა.*

აღნიშნულის მიზეზი კი ის გახდა, რომ მომხმარებლები მიწოდებული გაზის საფასურს არ იხდიან. მიზეზის ამგვარად ახსნამ ძირითადად გადამხდელთა გაკვირვება გამოიწვია, რადგან, როგორც მათ აღნიშნეს, ფული წინასწარ ჰქონდათ გადახდილი. სამი დღის წინ გაზის მიწოდება განუახლდა მხოლოდ პურის ქარხნებს.

როგორც გეა-ს კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, „საქტრანსგაზის“ გენერალური დირექტორი, ივანე ზაზაშვილი ამჟამად მოსკოვში იმყოფება და რუსეთიდან საქართველოში გაზის მოწოდების განახლების შესახებ კომპანია „ინტრას“ ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

იმის თაობაზე, თუ რამდენია ამჟამად საქართველოს დავალიანება და ვინ არ იხდის მიწოდებული გაზის საფასურის, გეა-ს კორესპონდენტს „საქტრანსგაზის“ მთავარი ბუღალტერის მოადგილემ ლუდმილა კვირიამ განუცხადა, რომ საინფორმაციო საშუალებებში გასული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს თბილისის პურის კომბინატი, რუსთავის ქიმიური ქარხანა „აზოტი“ და მეტალურგიული კომბინატი გაზის საფასურს არ იხდიან, სიმართლე არ არის.

„საქტრანსგაზის“ ყველაზე დიდი ვალი აქვს „თბილგაზს“, რომელმაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, დროულად არ გადაიხადა 500000 ლარი და ყაზბეგის რაიონს - 2 მლნ ლარი, რომლის ტერიტორიაზეც გადის გაზსადენი.

მთლიანად საქართველოს დავალიანება კომპანია „ინტრასადმი“ 3 მლნ ლარია.

აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან მოწოდებული გაზის ფასი 1000 კუბ.მეტრზე - 65 აშშ. დოლარია, მაშინ როცა თურქმენეთიდან 1000 კუბური მეტრი გაზის მიღება საქართველოს 80 დოლარი უჯდება. უცნობია, თუ რა ფასში მიჰყიდის ბუნებრივ გაზს ირანი საქართველოს, რადგან თეირანთან ამის თაობაზე ხელშეკრულება ხელმოწერილი არ არის. ხელმოწერილია მხოლოდ მემორანდუმი, რომელშიც თანამშრომლობის ზოგადი სურვილია გამოთქმული. (გეა)

# ვისი „დავალებით“ გაისარჯა ბატონი ალექსანდრე აბდალაძე?

**რამდენიმე** თვის წინ გამოქვეყნდა ჩემი შენიშვნები ამერიკელი მეცნიერის რონალდ გრიგორ სიუნის ნაშრომზე „ქართველი ერის ჩამოყალიბება“. პუბლიკაცია, რომელიც კომპიუტერზე ნაბეჭდ 49 გვერდს მოიცავს, არ იყო განკუთვნილი მკითხველთა ფართო წრისათვის და მხოლოდ 100 ცალად გამოვიდა. ჩემი მიზანი იყო კოლეგებისათვის ინფორმაციის მიწოდება იმ წიგნზე, რომლითაც 1988 წლიდან (I გამოც.) ინგლისურენოვანი სამყარო ეცნობა საქართველოს ისტორიას.

საქართველოში აღნიშნული წიგნი ცოტას თუ აქვს წაკითხული, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რაიმე გამოხმაურება მასზე დღემდე არ გამოქვეყნებულა. პუბლიკაციის მცირე ტირაჟის მიუხედავად, მე მაინც მქონდა იმედი, რომ გამოცემული შენიშვნები გამოიწვევდა ინტერესს და ადეკვატურ რეაქციასაც. ცხადია, მადლობით მივიღებდი და გავითვალისწინებდი შენიშვნებს ტექსტის ინგლისურ გამოცემაში, რომელიც, ჩემის ღრმა რწმენით, უნდა მიეწოდოს წიგნის ავტორსაც და მის ინგლისურენოვან მკითხველსაც.

პუბლიკაციამ მართლაც გამოიწვია რეაქცია, მაგრამ სრულიად მოულოდნელად იგი მიმართული აღმოჩნდა არა იმდენად სარეცენზიო წიგნის, რამდენადაც ჩემს წინააღმდეგ.

გაზეთ „საქართველოს“ 1997 წლის №79 (5-8 აგვისტო) გამოქვეყნდა ალექსანდრე აბდალაძის სტატია ხმამაღალი და არცთუ კეთილგანწყობილი სათაურით – „პროფესორი ალასანია მოერევა პროფესორ სიუნის?“. სტატია სავსეა გამოთქმებით: „გ.ალასანია რატომღაც არ აღნიშნავს“, „გ.ალასანია არ არის ამ დარგის სპეციალისტი“ (შეგახსენებთ, წიგნი ქართველი ერის ისტორიას ეძღვნება), „ვერ გაართვა თავი“, „არადამაჯერებლად და ზერელედ ეკამათება“, „ჯეროვან პასუხს ვერ სცემს“ და სხვ. ავტორი შეწუხებულია იმით, რომ თურმე „ქართულ საისტორიო მეცნიერებაში განუკითხაობა სუფევს“ და „ამის ერთ-ერთი დასტურია გ.ალასანიას წიგნაკის გამოცემა“.

ოპონენტთან მეცნიერულ კამათს არ ვაპირებ. წიგნზე საკმაოდ დაწვრილებით გამოვთქვი შენიშვნები, რომელთაც დაინტერესებული მკითხველი შეიძლება გაეცნოს ივ.ჯავახიშვილის სახ.ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ამჟამად ამ ამბის ეთიკური მხარე მაინტერესებს.

ცოტა არ იყოს, გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ კოლეგამ და თანამშრომელმა (როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი პირადი ურთიერთობა), რომელთანაც მრავალწლიანი საქმიანი კონტაქტები მაკავშირებს, ჩემთან პაექრობის ასეთი ორიგინალური გზა აირჩია.

მართალია, ა.აბდალაძე მოკლებულია წიგნის ინგლისურ ენაზე წაკითხვის შესაძლებლობას, მაგრამ მას ხელთ ჰქონდა მისი რუსული თარგმანი, რომელიც ხელნაწერის სახით არსებობს. უცნაურია, მაგრამ სტატიის ავტორს ის არ წაუკითხავს არა მარტო ჩემი შენიშვნების გამოქვეყნებამდე, არამედ ჩემს შენიშვნებზე შენიშვნების დაწერამდეც. სხვათა შორის, ამ ფაქტის დამალვა ვერ ხერხდება იმ აშკარად ყურმოკრული ორი ცნობის მოტანითაც, რომელიც შენიშვნების ავტორს თითქოს რონალდ სიუნის წიგნიდან აქვს ამოღებული.

კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ ა.აბდალაძეს არა აქვს წაკითხული არც ჩემი შენიშვნები, ზოგიერთი ნაწყვეტის გარდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად აუხსნელია ის ფაქტი, რომ ხშირად იგი იმავე საკითხებზე მსჯელობს, რომელიც ჩემს პუბლიკაციაში გაცილებით უფრო სრულად და ღრმად არის წარმოდგენილი. უნებურად გაგახსენდება „ცისფერი მთების“ ცნობილი სიუჟეტი.

კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა გაზეთის მკითხველი, რომელსაც თვალით არ უნახავს არც რონალდ სიუნის წიგნი, არც ჩემი შენიშვნები და როგორც ერთზე, ასევე მეორეზე წარმოდგენა ა.აბდალაძის ნაშრომით უნდა შეექმნას. ასეთ ვითარებაში თვით შამპოლიონიც კი დაიბნეოდა და როგორ უნდა გაიგოს სიმართლე მკითხველმა, რომელსაც ა.აბდალაძე თავის სტატიაში სთავაზობს ისეთ საკითხს, რომელსაც ნაკლები კავშირი აქვს რონალდ სიუნის წიგნთან და აქედან გამომდინარე, ჩემს შენიშვნებთან, ან ქრესტომათიულ ჭეშმარიტებებს, რომელიც არა მარტო ქართველი მკითხველისათვის, არამედ რონალდ სიუნისათვისაც კარგად არის ცნობილი, ან იმის დასაბუთებას, თუ როგორი მტრული იყო ურთიერთობა ქართველებსა და სომხებს შორის საუკუნეების მანძილზე. უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლად მკვლევარი ისეთ მასალას იშველიებს, რომელიც მხოლოდ 2-3 სპეციალისტისთვის თუ არის ცნობილი, ან არაზუსტია (იხ. მაგ. მისი ახსნა, თუ რატომ დაერქვა თბილისის ცენტრალურ მოედანს ერევნის მოედანი), ამასთანავე ანზოგადებს მას და ამ თვალსაზრისით აშკარად „ერევა“ რონალდ სიუნის.

ძნელია იკამათო მკვლევართან, რომელსაც ძირშივე სრულიად განსხვავებული ამოსავალი პრინციპები აქვს. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, მისი განწყობილების გაზიარება შეუძლებელია, ვინაიდან ის მცდარია და ა.აბდალაძის ნაშრომის პროვოკაციულ ხასიათს აშკარას ხდის ასეთი პუბლიკაციები არ ემსახურება არც მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენას და არც ისტორიულად ორი მეზობელი ერის ინტერესებს.

ამასთანავე სტატიის ავტორისათვის, როგორც ჩანს, უცხოა და გამაღიზიანებელი მეცნიერული პოლემიკის აკადემიური სტილი, რომელიც მიღებულია ცივილიზებულ სამყაროში და დაცულია ჩემს ნაშრომში. იგი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ამერიკელი პროფესორის რონალდ სიუნის „მორევა“ გაადვილდება, თუ მის არგუმენტებს დავუპირისპირებთ ასეთ ფრაზეოლოგიას: „ქართველთა სისხლით გაჟღენთილი საქართველოს ბებერი, მრავალტანჯული დედაქალაქი“ ან „დამპყრობლები უძველესი დროიდან ებლაუჭებოდნენ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს“ და „ხელსაყრელი დროის დადგომისთანავე საწადელსაც აღწევდნენ“ და სხვ.

სტატიის ავტორს ეჭვი არ ეპარება, რომ, მართალია, მე ვერ მოვერიე რონალდ სიუნის, მაგრამ ის მასაც და მეც ადვილად „მოგვერია“. როგორც ჩანს, ავიწყდება, რომ „ჟამთააღმწერლობა არც საჭიდაო ხალიჩაა, არც პირადი ანგარიშსწორების სარბიელი და არც „თუალახმა ვისიმე“, არამედ, „ჭეშმარიტების მეტყუელება არს“ და კიდევ თანაგანცდა და იმ ერის გონიერი სიყვარული, რომლის წარსულსაც სწავლობ.

**მარიამ ლორთქიფანიძე — გიული ალასანია**

## ჭორი სინამდვილეს არ შეესაბამება

აჭარის ტელევიზიის თავმჯდომარის მოადგილის სოსო აბაშიძის თქმით, გავრცელებული ჭორი ასლან აბაშიძის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება. მისივე თქმით, ასლან აბაშიძე სრულიად ჯანმრთელია. გუშინ იგი აჭარის უზენაეს საბჭოში გამართულ სამ თათბირს დაესწრო, რომელიც საკურორტო სეზონს, ბიუჯეტის შესრულებასა და ერთობლივი საწარმოების შექმნას ეხებოდა. სხდომები ხუთ საათს გრძელდებოდა. „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში სოსო აბაშიძემ ისიც აღნიშნა, რომ ასლან აბაშიძე რამდენიმე დღით ბობოყვათში ისვენებდა, რამაც, შესაძლოა, გამოიწვია ამგვარი ჭორის გავრცელების საფუძველი.

## აჭარა უშუქოდაა

აჭარას, რომელსაც „საქენერგოს“ მიმართ 10 მილიონი ლარის დავალიანება აქვს, ორი დღეა თითქმის მთლიანად შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება.

როგორც „საქენერგოს“ ხელმძღვანელმა ვაჟა მეტრეველმა აცნობა პრაიმ-ნიუსს, მისი დეპარტამენტი „არაა შეხებაში“ ელექტრო ენერგიის მიწოდების შეწყვეტასთან და ეს შეზღუდვა თავად „ბათუმენერგომ“ დააწესა.

თუმცა ბათუმი, რომელთანაც „საქენერგო“ უკვე რამდენიმე თვეა ცდილობს შეთანხმების მიღწევას, არ აღიარებს დავალიანებას იმ მოტივით, რომ თბილისიდან „ყველაზე ცუდად სწორედ აჭარას მიეწოდება ელექტროენერგია“.

მეტრეველის თქმით, დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით აჭარაში „ივლისშიც მძიმე მდგომარეობაა“. აჭარაში მოხმარებული ელექტროენერგიის მხოლოდ 4 პროცენტი გამომუშავდება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

„საქენერგოს“ თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ჯავახაძემ უთხრა პრაიმ-ნიუსს, რომ აჭარამ ივლისის თვეში მოხმარებულ ელექტროენერგიაზე 506 ათასი ლარის ნაცვლად მხოლოდ 252 ათასი გადარიცხა. (პრაიმ-ნიუსი)

## მაწანწალა ბავშვებს გულშემატკივარი გამოუჩნდათ

ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას „ბავშვი და გარემო“ სარგებლობისათვის გადაეცა თბილისის 68-ე საბავშვო ბაღის შენობა. ამ შენობაში ბინას დაიდებს თავშესაფარი ქუჩის ბავშვებისათვის, კერძოდ 50 ბავშვზე გათვალისწინებული დღის და 20 ბავშვზე გათვალისწინებული ღამის ცენტრი. თავშესაფარი **Tacis**-ისა და ინგლისური საქველმოქმედო ორგანიზაციის **OXFAM**-ის მიერ დაფინანსებული ორწლიან პროგრამის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს.

ქუჩის ბავშვების ტრადიციული თავშეყრის ადგილებში – ვაკის პარკში, ალექსანდროვის ბაღში, მეტრო „წერეთელთან“, სადგურის მიდამოებში – კვლავ მოქმედებენ „ბავშვი და გარემოს“ მიერ ორგანიზებული კვების პუნქტები. (მოამბე-ექსპრესი)

## „მოქალაქეები“ გურიას ეწვივნენ

7 აგვისტოს გურიას სამდღიანი ვიზიტით მოქალაქეთა კავშირის დელეგაცია ესტუმრა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანი. გაიმართა მოქალაქეთა კავშირის გურიის სამხარეო კონფერენცია. „მოქალაქეები“ ლანჩხუთს ეწვივნენ, ვიზიტი კი, ჩოხატაურში დასრულდება. (მოამბე-ექსპრესი)

*გთავაზობთ ნაწყვეტს მცირეოდენი შემოკლებით აკაკი თოფურიას მემუარულ-პუბლიცისტური ტრილოგიიდან „სინდისის ღმერთების ბარიკადებზე“, რომელშიც ბატონი აკაკი მკითხველს ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი საჭირბოროტო პერიოდის შეფასების ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს.*

# ლენინიდან გორბაჩოვამდე

## აკაკი თოფურია

### ბარათი მესამე

1939 წელს „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მლიქვნელურ სტატიაში პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ნ.ხრუშჩოვმა სტალინის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პირველად გამოიყენა ტერმინი „სტალინიზმი“. ამის გამო იმავე გაზეთის ფურცლებზე იგი სასტიკად დაიტუქსა თვით სტალინისაგან. ომის პერიოდიდან ხრუშჩოვს გულში ჩადებულ ბოღმად გამოყვა მისგან ჩიბუხის ტარით თავში ჩაკაკუნება კრემლის დატოვების უაზრო რჩევის გამო და სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით უმძიმესი დანაშაულისათვის შვილის დახვრეტა. სამჯერ იხსნა სტალინმა. მეოთხეჯერ თხოვნაზე უარით გაისტუმრა (იგი ერთნაირად ულმობელი იყო ყველას მიმართ). მოლოტოვის და კალინინის ცოლები პატიმრობაში იყვნენ, კაგანოვიჩის ორი ძმა კი – რეპრესირებული. პოლიტბიუროს ამ წევრებიდან არც ერთს სტალინის სიკვდილამდეც და შემდეგაც საყვედური არ დასცდენია, ერთადერთი აღმოჩნდა ხრუშჩოვი, რომელიც დასაფლავების დღეს ნიანგის ცრემლებით მისტიროდა ბელადს, მერე კი...

მან კარგად იცოდა, პარტიაში პირველის სავარძელში მოკალათებულ ყოველ რეგვენს შეეძლო უბრალო სიფრთხილის გამოჩენით დირიჟორის ჯოხივით ემართა ლენინის მეთოდით პარტიაზე სტალინის მიერ უმტკიცესად „მიყრობილ-მიყრდნობილი“ სახელმწიფო. როგორც კი დიდი „კაცოს“ კაბინეტის ბატონ-პატრონი გახდა, როგორც კი მეორე პატარა „კაცოსაც“ სწრაფად გაუსწორდა, რუსული შოვინიზმის ამბიციურ აღზევებაში, რაიკომის მდივნობიდან მხოლოდ მითითებების შესრულებაში გაწაფულს, გამოჩვეულს და გამობრძმედილს არსებიდან უმალ გაუქრა სიფრთხილის გრძნობა. ჰოდა, საათის მექანიზმი ხომ მაშინ კარგავს დროის ზუსტად ჩვენების ფუნქციას, როცა მის მფლობელს დაქოქვა ავიწყდება.

ხრუშჩოვს არათუ ახალდაკისრებული მოვალეობის სიდიდე, სიმძიმე და სირთულე დაავიწყდა, საერთოდ მას არ ჰქონდა საკუთარი ქცევისა და მოქმედების, აზრის რეგულირების ის უნარი, რომელიც ყოველ გონიერ, წინდახედულ ადამიანს უნდა ახასიათებდეს. სახელდობრ, ელემენტარულად უნდა იცოდეს, ვისთან (მოზრდილთან თუ მოზარდთან), სად (შინ თუ გარეთ), როდის (ღრესასწაულზე თუ ქელეხზე) რა უნდა თქვას, რა უნდა გააკეთოს, რა უნდა მოიმოქმედოს შემუშავებული ეტიკეტებისა და ნორმების ფარგლებში.

ხრუშჩოვის პერიოდის პრესა სავსეა სენსაციური ალოგიზმებით მის სიტყვებსა, გამოსვლებსა და ქცევამოქმედებებში: ეს იქნება ციხიდან გამოშვებულ ქურდებთან სურათის გადაღება თუ ინდოეთში აქლემზე ამხედრებით სეირნობა, ადენაუერთან მოსკოვში შეხვედრის დროს მისთვის მარქსიზმის „ფაფის“ ახსნა-განმარტება თუ კრასნოდარში მოგზაურობისას სილოსის ღეროვანი ფოთლების პირში დაღეჭვით მისი გემოს პროპაგანდირება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ფეხსაცმლის ბრახუნით ქვეყნის ავტორიტეტის შებღალვა თუ მორალური კოდექსით ამ ავტორიტეტის აღდგენის უნაყოფო ცდა, მოწოდება კერძო საკუთრებაში პირუტყვის სულადობის მოსპობაზე თუ ყამირი მიწების ვითომდა ათვისებით საზღვარგარეთ ხორბლეულის სამათხოვროდ თავისი დესპანების დაგეშვა-დაგზავნა, კრემლის სასახლეში იდეოლოგიური დარგის მუშაკებთან ქუჩური ჟარგონით თავისი გამოსვლის შემკობა თუ ჩინეთის კომპარტიის დელეგაციის წინაშე შეურაცხყოფილი მიცვალებულის სარეაბილიტაციოდ თავის მოკატუნება ასეთი ფრაზით: „ღმერთმა ქნას, ყველა იყოს ისეთი კომუნისტი, როგორიც იყო სტალინი“. ეს ითქვა ყბადაღებული XX ყრილობიდან ორი წლის შემდეგ ჭოუ ენ ლაის საპატივცემლოდ გამართულ ბანკეტზე.

XX ყრილობის (ისე როგორც წინა ყრილობების) დღის წესრიგი წესდების შესაბამისად პლენუმის მიერ წინასწარ იყო დამტკიცებული და იგი 1956 წლის 14-24 თებერვლის შუალედში ჩატარდა მისი შესაბამისობით. ჩვეულებისამებრ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით ყრილობის წინაშე წარდგა პირველი მდივანი ხრუშჩოვი. კამათიც ამ მოხსენების გარშემო გაიშალა. მთელი ეს მასალა მაშინვე ჯერ გაზეთებში იბეჭდებოდა, მერე წიგნად გამოვიდა. ამ ოფიციალურ დოკუმენტებში არსად ფიგურირებდა ხრუშჩოვის მეორე მოხსენების თემა. ყრილობის მიმდინარეობის პირველი დღეებიდანვე მისი შინაარსი ცნობილი რომ ყოფილიყო, თბილისის მარტის ტრაგედია თებერვალშივე დატრიალდებოდა. მეამბოხე სტუდენტი ახალგაზრდობის ავანგარდულმა ბირთვმა იგი გაიგო არა პრესიდან, არამედ საიდუმლო წყაროებით, მას შემდეგ, რაც დაგზავნილი იყო წერილის სახით პარტორგანიზაციების დახურულ კრებებზე განსახილველად.

1989 წლის ჟურნალ „იზვესტიის“ მესამე ნომერში (გვ. 128-170) რუბრიკით – „პარტიის არქივიდან“ პირველად გამოქვეყნდა ნ.ხრუშჩოვის იმ მოხსენების სრული ტექსტი, რომელიც ვითომდა წაკითხული იყო XX ყრილობაზე დართულ მცირე კომენტარში ნათქვამია: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ.ს.ხრუშჩოვის მოხსენება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“ მოსმენილ იქნა ყრილობის დელეგატების მიერ 1956 წლის 25 თებერვლის დილის დახურულ სხდომაზე ყრილობის დახურული სხდომის მიმდინარეობის სტენოგრაფირება არ ხდებოდა. კამათი არ გახსნილა“. ამას ერთვის მეორე კომენტარი. აი, მისი ტექსტიც:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1956 წლის 5 მარტს მიიღო დადგენილება „სკკპ XX ყრილობაზე „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“ ამხ. ნ.ს.ხრუშჩოვის მიერ გაკეთებული მოხსენების გაცნობის შესახებ“, რომელშიც მითითებული იყო: 1. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ, სამხარეო და საოლქო კომიტეტებს XX ყრილობაზე „პიროვნების კულტის და მისი შედეგების შესახებ“ ამხ. ნ.ს.ხრუშჩოვის მოხსენება გააცნონ ყველა კომუნისტს და კომკავშირელს, აგრეთვე მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა უპარტიო აქტივს, 2. ამხ. ნ.ს.ხრუშჩოვის მოხსენება დაეგზავნოს პარტიულ ორგანიზაციებს გრიფით „არა პრესისათვის“ და ბროშურიდან მოიხსნას წინანდელი გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“. ამ დადგენილების თანახმად მოხსენება წაკითხულ იქნა ყველა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციაში. ეს ტექსტი ქვეყნდება ჟურნალის დღევანდელ ნომერში“. (გვ. 166).

იბადება კითხვები: თუ ყრილობაზე გაკეთებულ პირველ მოხსენებას არ დასჭირვებია დამატებითი ღონისძიებების გატარება მის გასაცნობად, რად დასჭირდა იგი იმავე ყრილობაზე გაკეთებულ მეორე მოხსენებას? თუ ეს მეორე მოხსენება ყველა კომუნისტს, კომკავშირელს, მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა უპარტიო აქტივს გაეცნობოდა, მაშინ ვინღა რჩებოდა, რისთვის გახდა აუცილებელი მიეცათ მოხსენებისათვის გრიფი „არა პრესისათვის“ და რისთვის ჩაბარდა არქივს, საიდანაც ამომზეურდა მხოლოდ ოცდაცამეტი წლის შემდეგ? თუ საზღვარგარეთისათვის დამალვის მიზნით ხდებოდა ყოველივე ეს, მაშინ საიდან გავრცელდა ამერიკის პრესაში თვით ყრილობის დღეებშივე? რად გახდა საჭირო პირველად მიცემული გრიფის – „სრულიად საიდუმლოდ“ სასწრაფოდ შეცვლა მეორე გრიფით – „არა პრესისათვის?“ და ბოლოს, ჯერ ერთი, რატომ უნდა ყოფილიყო საიდუმლო ის, რაც ყრილობაზე ათასობით დელეგატის წინაშე ითქვა? და მეორე – რატომ, საიდან, რომელიც პარტიული წესდებიდან გაუჩნდა, სახელდობრ, XX ღია ყრილობას დანამატად XX – „დახურული“?

უცხოელი სოვეტოლოგების მეშვეობით (ა.ავტარხანოვ და სხვა) ახლა ჩვენთვის ცნობილია ყრილობის წინა ბატალიებიდან ერთი საგულისხმო დეტალი. ხრუშჩოვის აგრესიულ ხაზს სტალინის შეფასებისადმი უპირისპირდებოდა სუსლოვის ხაზი, რომელიც ითვალისწინებდა კრიტიკას მხოლოდ ზომიერების ფარგლებში სტალინის ნეშტის მავზოლეუმში მოთავსების და სტალინგრადის სახელწოდების შენარჩუნებით. ამიტომაც დასჭირდა ყრილობის შემდეგ კიდევ ხუთი წლიწადი პირველი ხაზის მთლიანად გატარებას.

აი, ამ ორი ხაზის შინაგანი ბრძოლის ანარეკლია ზემოთ აღნიშნული ფაქტების ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები. სუსლოვი, რომელიც ხრუშჩოვის იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენდა, მერყეობისა და კუდაბზიკობის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს, იძულებული შეიქნა თვითონ ჩადგომოდა მისი გადაყენების ფარულ შეთქმულებას და 1964 წლიდან მხედართმთავართა მემუარების გამოქვეყნებით შეეცადა გაებათილებინა პიროვნების კულტის ხრუშჩოვისეული ვარიანტისაგან მიღებული მძიმე შთაბეჭდილებანი, შეეკავებინა რეპრესირებულთა რეაბილიტაციის პროცესი და მოექცია იგი ერთგვარ სამართლებრივ ჩარჩოში.

მაგრამ ფაქტობრივად ეს შეუძლებელი იყო. ხრუშჩოვის მითითებით და XX ყრილობის ფალსიფიცირებული სახელის ზეგავლენით რეაბილიტაცია დაიწყო ახალმიღებული კანონებისა და კოდექსების საფუძველზე, და ეს საღდებოდა დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის სულისკვეთების გამოხატულებად. გაზეთ „იზვესტიის“ 1988 წლის 10 აპრილის ნომერში იურიდიული განათლების მქონე ჟურნალისტი ი.თეოფანოვი წერილში „რატომ ხდებოდა ასე?“ გაკვირვებას გამოთქვამს რეაბილიტაციის უხეშ დარღვევებზე, მოაქვს აღმაშფოთებელი ფაქტები იმისა, თუ როგორ იყენებდნენ მას პოლიტიკურების ნაცვლად ზოგჯერ სისხლის სამართლის დიდი დამნაშავეების, თავიანთი ნაცნობებისა და ახლობლების ზემოდან ტელეფონის ზარებით ადვილად განთავისუფლების მიზნებისათვის. ერთ უკიდურესობას მეორე, უფრო საზიანო უკიდურესობა ემატებოდა.

ხრუშჩოვმა შეგნებულად გვერდი აუარა ლენინის დროიდან დაწყებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მისთვის მიწოდებული ცნობა-დოკუმენტის ზემოთ ნაჩვენებ ადგილს, გამოყო იქიდან მხოლოდ ბოლო ეპიზოდის მახასიათებელი შედარებით ნაკლები, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში პოლიტიკური რეპრესიების ტემპის თავზარდამცემი მაჩვენებელი და, ვითომდა თავად უმწიკვლომ, ლენინური კურსის ლენინურად გაგრძელების ნიშნად, მთელი რისხვა მხოლოდ ერთ კაცს დაატეხა. ამავე დროს, სწორედ 1937 წელს გაისმა იმ ერთი კაცის სიტყვები: „შვილი მამისთვის პასუხს არ აგებს“, რამაც სისხლიან დროჟამს გარკვეულწილად რაღაც სხვა ელფერი შესძინა.

მწერალი ვლ.სოლოუხინი „ოგონიოკის“ 1991 წლის 29-ე ნომერში (გვ. 21) წერს: „ხრუშჩოვმა პიროვნების კულტის შესახებ მოხსენებაში მოიტანა ციხიდან კედროვის მიერ სტალინისადმი გაგზავნილი წერილიდან ციტატი მისი უცოდველობის დასამტკიცებლად. მაგრამ მან დამსახურებულად იწვნია შურისძიება. ეს ის კედროვი იყო, რომელიც ლენინმა გაგზავნა რუსეთის ჩრდილოეთ მხარეში, არხანგელსკისა და ვოლოგდის ოლქებში საუკეთესო რუსი ხალხის მოსპობისა და განადგურებისათვის. მას სრული საფუძველი გვაქვს ვუწოდოთ იმ დროის ჯალათთა შორის ყველაზე პირსისხლიანი ჯალათი“. მაშასადამე, ნამდვილი დამნაშავის რეაბილიტაციის ინსცენირება თავის მხრივ უარესი დანაშაული იყო.

სწორედ ეს იდო საფუძვლად ხრუშჩოვის მანიპულაციებიდან ერთი წლის შემდეგ სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმის მიერ მისი გადაყენების ისტორიულ ფაქტს, რაც თავისთავად მეტყველებს ცენტრალურ კომიტეტში მაშინ არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო, დაძაბულ ატმოსფეროზე. მაგრამ ეს ფაქტი იმის მაჩვენებელიცაა, რომ ვინც სტალინის დროს ქვეყანაში ავტორიტეტით სარგებლობდა, არც ერთი არ აღმოჩნდა არათუ ამის ღირსი, არამედ უბრალოდ პარტიულ-ორგანიზატორული, დამოუკიდებელი უნარის მქონე, რომ ისინი მხოლოდ სტალინის გვერდით, მისი ლანდით ჩანდნენ თურმე დიდად და ავტორიტეტულად და არა თავიანთი გამჭრიახობით. მარტოოდენ დოყლაპია მალენკოვის მაგალითი რად ღირს. რა სიმაღლეზე იდგა და როგორ გამოიჭირეს ხრუშჩოვის „ბიჭებმა“ XIX ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში ლიტერატურული ტიპის განმარტების პლაგიატობაზე ან მოლოტოვი, მეორე კაცი სახელმწიფოში.

1957 წლის 18 ივნისს პრეზიდიუმმა ხრუშჩოვის ნაცვლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ვ.მოლოტოვი აირჩია. საჭირო იყო რადიკალური, გადამწყვეტი ორგანიზაციული ზომების მიღება ამ დადგენილების სწრაფად რეალიზებისა და ამოქმედებისათვის. სინამდვილეში მოლოტოვმა, დაიკავა თუ არა ხრუშჩოვის სავარძელი, იქვე, იმავე სხდომაზე დაიწყო ხრუშჩოვის დანაშაულებრივ მოქმედებათა, პიროვნების კულტის გამოცხადებით ქვეყნისათვის მიყენებული საერთაშორისო და საშინაო მორალური ზიანის კრიტიკული ანალიზი, რაც ხუთი საათი გრძელდებოდა. მ.გეფტერის გამონათქვამისა არ იყოს, „ყველაფრით, რასაც აკეთებდა... მან მიაყენა სისტემას ზარალი, რომლის გამოსწორებაც საეჭვოა რომ შესაძლო იყოს“ (იხ. მისი წერილი „ხრუშჩოვის ხვედრი“, ჟურნალი „განთიადი“, 1991, №5, გვ. 128). მართლაცდა, იმ სხდომის სტენოგრამა ხომ უტყუარი დოკუმენტი იქნებოდა ისტორიისათვის ხრუშჩოვის ნამდვილი სახის შესაცნობად, მაგრამ იგი ჯერჯერობით უცნობია და გამოსაყენებლად არ არსებობს.

და, რაღა თქმა უნდა, თერთმეტი წლიწადი ქვეყნის მართვას კვლავ განაგრძობდა კაცი – ხეპრე, კაცი – ეშმაკი, რომელმაც ტალახიანი შავი პურისა და ყარიბის ზღვის ყურეში ლამის მესამე მსოფლიო ომის ზღვრამდე მიიყვანა ხალხი. და მაინც ხრუშჩოვი ისტორიაში შევიდა, როგორც XX ყრილობის ტიტულით მხრებდამშვენებული, რეპრესიების დამგმობი და გულმოწყალე. მაგრამ თბილისის 1956 წლის და ნოვოჩერკასკის 1962 წლის ქუჩებში მოწყობილი სტუდენტი ახალგაზრდობისა და მუშების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის სცენარის ავტორს ჰქონდა კი მორალური უფლება ემოციური გრძნობების სპეკულირებით, ადამიანთა გულების მოსაგებად, ღია კარები ემტვრია და დაგმობილის დაგმობით აწმყო გაეჩანაგებინა? როგორ თუ დაგმობილი! ხრუშჩოვამდე? დიახ, ხრუშჩოვამდე თვრამეტი წლით ადრე გაკვრით ამის შესახებ ნათქვამი მაქვს მეორე ნაწილის მესამე თავში. ახლა კი უფრო გაშლილად მოგახსენებთ როგორც იმდროინდელის და ახლანდელის მოწმე.

მასობრივი რეპრესიების დაწყებიდან (იგი დაიწყო 1937 წლის მარტიდან, როცა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით დაისახა რადიკალური ღონისძიებანი ანტისახელმწიფოებრივდივერსიულ მოქმედებათა სალიკვიდაციოდ) ცხრა თვის გასვლის შემდეგ, 1938 წლის 14 იანვარს, ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა გაანალიზა რეპრესიების მიმდინარეობის პროცესში დაშვებული შეცდომები, სათანადო შეფასება მისცა მათ მიზეზებს და დასახა ქმედითი ღონისძიებანი უდანაშაულოდ დასჯილთა რეაბილიტაციისათვის. ამ შემთხვევაში მთავარია დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებების მოკლე დროში თვით პარტიის მიერ საჯაროდ არა მხოლოდ აღიარების, არამედ მათი დაგმობისა და გამოსწორებისათვის ქმედითი გზების დასახვის თვით ფაქტი, მისი არსებობის რეალობა და ზომების ოპერატიულად მიღება.

გაზეთ „პრავდის“ 1938 წლის 26 იანვრის მოწინავე წერილში სათაურით „რეაბილიტაცია ვუყოთ არასწორად გარიცხულთ (ე.ი. რეპრესირებულთ – ა.თ.), მკაცრად დავსაჯოთ ცილისმწამებლები“ ნათქვამი იყო: „პლენუმმა დაავალა პარტორგანიზაციებს მკაცრ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით პარტიის წევრისათვის ცილისწამებებში, პატიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ დაუმტკიცებელი, ლიტონი ბრალდებების წაყენებისათვის“. პლენუმის დადგენილების მესამე მუხლი ითვალისწინებდა სააპელაციო საკითხების ოპერატიულად განხილვას, ცილისწამებით პარტიიდან გარიცხულთა და რეპრესირებულთა სრულ რეაბილიტაციას, პრესაში გამოცხადებით მათი ღირსების აღდგენას და სამსახურში დაუბრკოლებლად დაბრუნებას.

ეს დადგენილება სრულდებოდა. ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაუბრუნდა თავის ოჯახს, კოლექტივს (მათ შორის სსრ კავშირის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი მოგოშა შარტავა, საშენ მასალათა მინისტრი ვანიუკოვი, ცნობილი სამხედრო ოფიცერი, შემდეგში მარშალი კროკოსოვსკი, ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე და სხვა), ხოლო საპირისპიროდ დაისაჯა პროვოკატორებისა და ცილისმწამებლების გარკვეული ჯგუფი, დაიხვრიტა უშუალოდ თვითონ მასობრივი რეპრესიის მთავარი ორგანიზატორი, შინაგან საქმეთა ე.წ. „რკინის კომისარი“ ეჟოვი, რომლის მსგავსთა რეაბილიტირება ვერც ხრუშჩოვმა და ვერც გორბაჩოვმა ვერ შეძლეს.

„ზოგი ამხანაგი ფიქრობს, – ამბობდა ი.სტალინი პლენუმზე, – რომ მიზანშეუწონელია ვილაპარაკოთ ჩვენს შეცდომებზე, ვინაიდან ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარება შეიძლება ჩვენმა მტრებმა შეაფასონ ჩვენს სისუსტედ და შეიძლება გამოიყენონ კიდეც. ეს არაფერია, ამხანაგებო, სრულიად არაფერი. ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარებასა და მათს პატიოსნად გამოსწორებას, პირიქით, შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს ჩვენი პარტია, აამაღლოს ჩვენი პარტიის ავტორიტეტი მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის თვალში, აამაღლონ ჩვენი სახელმწიფოს ძალა და ძლიერება“.

და მართლაც, პარტიის ავტორიტეტის კიდევ უფრო გაძლიერების მაჩვენებელი იყო სწორედ იმავე 1938 წლიდან პარტიის რიგებში წლობით შეწყვეტილი მიღების აღდგენა, მასობრივი ლტოლვა პარტიის წევრობის უფლების მოპოვებისათვის. იგი პირველ რიგში ენთუზიასტების ხვედრად და, როგორც ამ წიგნის მეორე ნაწილის მესამე თავში გიამბობდით, მხოლოდ ღირსების საქმედ ითვლებოდა. ამიტომ უგუნურებაა სულელად ჩათვალო ყველა, ვინც მაშინ პარტიაში შედიოდა.

1937 წლის რეპრესიის დროს დაშვებული შეცდომების აღიარება და დაგმობა, პლენუმის დადგენილებით, არ ნიშნავდა უარის თქმას მტრულ გამოვლინებათა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისათვის. „პარტია სწმენდდა, სწმენდს და მომავალშიც გასწმენდს თავის რიგებს ფარული და აშკარა მტრებისაგან, მაგრამ არ დააყოვნეს ამ უდიდეს გამწმენდ მუშაობას მიტმასნოდნენ თავკერძა ადამიანები და კარიერისტები, რომლებიც ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ და დაწინაურებულიყვნენ პარტიიდან გარიცხვებით, ცდილობდნენ ამით დაემსახურებინათ ფხიზელი პარტიელების სახელი. თავკერძა და კარიერისტ ადამიანებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი მოქმედებდნენ შენიღბული მტრებიც, რომლებიც გაჰყვიროდნენ რა სიფხიზლეზე და მოითხოვდნენ რა სრულიად უდანაშაულო ადამიანთა გარიცხვას, საკუთარ კვალს ფარავდნენ მოსაჩვენებელი, ყალბი სიფხიზლით, ფარავდნენ საკუთარ დანაშაულობებს“ („პრავდის“ 1938 წლის 26 იანვრის მოწინავედან).

განა აქ არ ჩანს დამსმენების, ცილისმწამებლების, მიტმასნილების, კარიერისტების გამოაშკარავებისა და მათი მტრული მოქმედებით უდანაშაულოთა ღირსების შელახვის აღკვეთისათვის გარკვეული ზრუნვა და წადილი? თუ ხრუშჩოვმა იკადრა მკვდრის წინააღმდეგ შენიღბულად მოქმედება, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, ცოცხლებს ცოცხლის წინააღმდეგ უფრო მეტად დასჭირდებოდათ შენიღბვა?

ანდა, თუ ჩვენს დღევანდელობაში, 1992 წლის 24 ივნისის მოვლენების ფონზე, გადაუდებლად დადგა ტერორისტულ-დივერსიული აქტების ჩამდენი ბანდების წინააღმდეგ მებრძოლი სპეცსამსახურის შექმნის და სახელმწიფო საბჭოს ამავე წლის 29 ივნისის დეკრეტით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში უკიდურესი გამკაცრების, სიკვდილით დასჯის ცვლილებების შეტანის, „მოღალატის“, და „მტრის“ იარლიყების მიკერების აუცილებლობა, რატომ არ უნდა დავუშვათ მათი არსებობის შესაძლებლობანი წარსულში? განა დივერსიები და საბოტაჟები მაშინ არ იყო? არ ხდებოდა?

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1937 წლის პირველი სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია ინფორმაცია 23-28 აგვისტოს გამართულ მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის სასამართლო პროცესის შესახებ. „ქუჩებსა და მოედნებზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. საღამოს 7 საათსა და 50 წუთზე ხუთი დღის სხდომის შემდეგ დაიწყო განაჩენის კითხვა. ყველანი ფეხზე დგას და სულგანაბული უსმენს შ.ალავერდაშვილს, ა.წითლიძეს, კაბაშიძეს, ი.სტეფანოვს, გ.მეტრეველს, ა.კობეშავიძეს, ვ.მახოშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, ყველას მიმართ მთელი პირადი ქონების კონფისკაციით. ამ განაჩენს ხალხი მქუხარე ტაშით შეხვდა. სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს! – ისმოდა შეძახილები. გაუმარჯოს რევოლუციურ მართლმსაჯულებას, მადლობა სასამართლოს. ტაში დიდხანს გაგრძელდა“.

შეადარეთ ეს ამონაწერი 1991 წლის ოქტომბერში მთავრობის სასახლის წინ გამართულ საინფორმაციო მიტინგებზე ყოფილი პრეზიდენტის მოწოდებებს ხალხის მტრების განადგურების თაობაზე და მომიტინგეთა აღზევებებს, მათ მქუხარე შეძახილებს, ერთ წლიწადში მისი გაკერპების, გაკულტების ცდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ ხრუშჩოვის გალაშქრების ფაქტს განა ადამიანთა ცნობიერების გამოსავლენ ქცევებსა და მოქმედებებში რაიმე შეიცვალა? რაიმე ანალოგიის გავლება შეიძლება გამოგონილ და ნამდვილ კულტს შორის? (მიხეილ შოლოხოვი: იყო კულტი, იყო შესატყვისი პიროვნებაც). საიდან გაჩნდა გამოგონების ფანტასმაგორია?

წარსულის შესწავლის ობიექტურობის პრინციპი უკუაგდებს, გამორიცხავს და დაუშვებლად მიიჩნევს მის განქიქებას ტენდენციურობის, პირადული ინსტინქტებისა და ანგარიშსწორების პოზიციებიდან. ასეთ დროს ადამიანები კი არ უახლოვდებიან, პირიქით – მეტწილად ყოველთვის შორდებიან ჭეშმარიტების ნაპირს და უნებურად მის საპირისპირო მხარეზე დგებიან. ტენდენციური მიდგომა საერთოდ მიუღებელია ყოველგვარი მოვლენის მიმართ, მით უფრო ისეთი ფაქიზი და მგრძნობიარე აქტისადმი, როგორიცაა ადამიანის ბედის, სიკვდილ-სიცოცხლის, მიცვალებულთა სულებისადმი პატივისცემის საკითხი. ჩვენ ამ შემთხვევაში ამ საკითხით პოლიტიკური „ვაჭრობის“ ასპექტი გვაინტერესებს.

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რუსეთის პოეტურ გენიას, მის ერთადერთ სიამაყეს და სათაყვანებელს ალექსანდრე პუშკინს 1837 წელს ტრიბუნალის გადაწყვეტილებით მისჯილი ჰქონდა დახვრეტა და იგივე სისრულეში მოყ-

გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მკვლელების სექტის ისტორიიდან

ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ჰასანს თავისმა ერთგულმა მრჩეველმა – ვინმე ჰუსეინ კახინიმ შეატყობინა, რომ ის ადგილი, სადაც ციხე-სიმაგრე ალამუთი დგას, პროზელიტიზმისათვის საუკეთესოა. ადგილობრივი მაცხოვრებლების უმრავლესობა მიესალმებოდა ისმაილიტების იდეებს. ერთადერთი დაბრკოლება ბაღდადის ხალიფას ნაცვალი ალი მაჰდი იყო, რომელიც თავის მბრძანებელს სასულიერო და საერო მამად მიიჩნევდა. პირველი ნეოფიტები ამ ადგილებიდან გააძევეს. მაგრამ არ გაუვლია ორიოდე თვესაც, რომ მოსახლეობაში უამრავი ისმაილიტი გამოჩნდა. ხალიფას ნაცვალმა ამჯობინა მათთვის დაბრუნების ნება დაერთო. ჰასანი ცდას არ აპირებდა. ალამუთის მომავალი მფლობელი ეშმაკურად მოიქცა: მან ხალიფას ნაცვალს შესთავაზა „სამი ათასი ოქრო მიწის იმ ნაგლეჯისათვის, რომელსაც ხარის ტყავი დაფარავდა". მაჰდი დათანხმდა. ჰასანმა ხარის ტყავი უწვრილეს ძაფებად დაჭრა, შეაერთა და ალამუთს შემოავლო. როდესაც მაჰდიმ უარი გამოუცხადა, ჰასანმა სპარსეთის სელჩუკიანთა უმაღლესი მმართველების ბრძანება აჩვენა, სადაც ეწერა, რომ ციხე-სიმაგრე ალამუთი ჰასან იბნ საბაჰის მფლობელობაში უნდა გადასულიყო, სამი ათასი ოქროს სანაცვლოდ. ჩინოვნიკი „მთიელი მოხუცის" მიმდევარი აღმოჩნდა.

1090 წელს ჰასანმა თავისი გეგმის შემდეგი ეტაპი განახორციელა: შეუტია და დაამარცხა ემირის პროვინციის ჯარები. გააერთიანა მოსაზღვრე ოლქების მოსახლეობა და თავისი ერთგული ხალხი. ორიოდე კვირის შემდეგ ჰასანის მიერ მოგზავნილმა მკვლელმა ვეზირ ნიზამ-ულ-მულქს გაუყარა გულში დანა. არსებობს სერიოზული საბუთები, რომ ალამუთის ციხის წინააღმდეგ ჯარების გამგზავნი სულთანი მელიქ-შაჰი საწამლავისაგან მოკვდა. მელიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ მთელი სამეფო მტრულ ბანაკებად დაიყო. დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ასასინები ახერხებდნენ მისი მთლიანობის შენარჩუნებას ათი წელიც არ დასჭირვებიათ, რომ მთელი სპარსული ერაყის ბატონები გამხდარიყვნენ. მათ ეს მოახერხეს ყველანაირი მეთოდის გამოყენებით – ბრძოლა, ჩასაფრება, მოწამლული ხანჯლები. ორთოდოქსი მუსულმანი ლიდერები რამდენჯერმე ეცადნენ მათ მოკვეთას, მაგრამ ამაოდ.

ისმაილიტთა ლოიალურობა ეგვიპტის ხალიფასაგან „მთიელი მოხუცის" მხარეს გადაიხარა, რომელიც ყველას შიშის ზარს სცემდა, მითუმეტეს, აზიის ყოველ მბრძანებელს არც ჯვაროსანთა ბელადები წარმოადგენდნენ გამონაკლისს. „დაღლილობის, საფრთხისა და წამების უგულვებელყოფით ასასინები სრულიად ემორჩილებოდნენ მბრძანებლის ნებას და სიხარულით მიჰქონდათ სამსხვერპლოზე თავისი სიცოცხლე მისი სიცოცხლის დასაცავად ან მისჯილი სიკვდილის მისაღებად. როდესაც მართლმორწმუნეს მიუთითებენ თავის მსხვერპლს, იგი თეთრ ტანისამოსში გამოეწყობა და წითელ სარტყელს შემოირტყამს – სიწმინდისა და სისხლის ფერები, – ისე მიდის ბრძანების შესასრულებლად. მას არც სიშორე და არც საფრთხე არ აშინებს. იპოვის რა საჭირო ადამიანს, იგი მოთმინებით უცდის სასურველ მომენტს მისი მახვილი, როგორც წესი, ყოველთვის მიზანს აღწევს".

რიჩარდ ლომგულს ერთხელ ბრალი დასდეს, რომ მან „მთიელ მოხუცს" სთხოვა კონრად მონფერატელის მოკვლა. აი, როგორ შესრულდა ეს დავალება: „ორმა მკვლელმა მიიღო ნათლობა და მის ზურგს უკან დასხდნენ ისე, თითქოს ლოცულობდნენ. როგორც კი სასურველი დრო იხელთეს, ორივენი ეცნენ მსხვერპლს ხანჯლებით, რის შემდეგაც ერთი მათგანი იქვე ეკლესიაში დაიმალა. მაგრამ გაიგო თუ არა, რომ პრინცი ჯერ კიდევ ცოცხალი გაიყვანეს, გამოეკიდა და უკანასკნელი დარტყმაც მიაყენა. შემდეგ კი, მრავალფეროვანი ევროპული წამების პროცესში ერთიც არ დაუკვნესია, ისე ამოხდა სული". მსოფლიო ისტორიაში არც ისე მრავალი მაგალითია ამგვარი აბსოლუტური მორჩილებისა.

ასასინები ორ ფრონტზე იბრძოდნენ. ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ისინი ხან ერთ მხარეს უწყობდნენ ხელს, ხან – მეორეს. თანაც სპარსელებსაც ებრძოდნენ. ნიზამ-ულ-მულქის ვაჟი და მემკვიდრეც ასასინების ხანჯლით მოკვდა. სულთანი, რომელსაც სამეფოს გაერთიანება ჰქონდა მიზნად, მათ წინააღმდეგ საომრად წავიდა. ერთ მშვენიერ დილას (ვისთვის მშვენიერი და ვისთვის – უკანასკნელი) გაღვიძებულმა მის თავთან ასასინის ხანჯალი დაინახა მიწაში ჩარჭობილი. დიდმა მბრძანებელმა არჩია ასასინებთან მოლაპარაკება, რითაც მათ სრულ თავისუფლებას აძლევდა, მათი სამხედრო მოქმედებების სანაცვლოდ.

ალამუთის ყიდვის შემდეგ ჰასანმა 34 წელი იცოცხლა და მართალია, მთელი ამ დროის მანძილზე „მთიელმა მოხუცმა" მხოლოდ ორჯერ დატოვა თავისი ოთახი, იგი ეფექტურად მართავდა იმპერიას. არანაკლებად მრისხანე და ყოვლისშემძლე, თუმც უხილავი, ვიდრე ყველა ისინი, ვინც ოდესმე მმართველი იყო.

სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, მან დაიწყო იმ გეგმების განხორციელება, რასაც ასასინთა ორდენის მუდმივი არსებობა უნდა უზრუნველეყო.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №72-79.

გაგრძელება იქნება

## ზაქაევი მოსკოვს გაემგზავრა

გუშინ, შუადღისას, ჩეჩნეთის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი, ახმედ ზაკაევი, თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა, სადაც რამდენიმე ოფიციალურ შეხვედრას გამართავს, ხოლო ხვალ გროზნოში დაბრუნდება.

თბილისის აეროპორტში გეა-სთვის მიცემულ ინტერვიუში ზაკაევმა განაცხადა, რომ კმაყოფილია თბილისში გამართული შეხვედრებით. მისი თქმით, პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრისას განიხილეს მთელი რიგი საკითხებისა და მხარეებს არცერთ მათგანზე განსხვავებული აზრი არ გამოუხატავთ. მოლაპარაკებებმა სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა და როგორც ზაკაევმა აღნიშნა, ყველა საკითხი ერთიანი კავკასიური სახლის მშენებლობის კონტექსტში იქნა განხილული.

ჩეჩნეთის პირველი ვიცე-პრემიერის ცნობით, პრეზიდენტების, შევარდნაძისა და მასხადოვის შეხვედრა 20 აგვისტომდე გაიმართება, მაგრამ კონკრეტული თარიღის დასახელებისაგან მან თავი შეიკავა. ზაკაევის განცხადებით, მათი შეხვედრის შემდეგ ჩეჩნეთ-საქართველოს ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავა. სტუმრის აზრით, ამის შემდეგ ჩეჩნეთი და საქართველო ყველა პრობლემას ერთობლივი ძალებით მოაგვარებენ.

„იჩქერიის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ძალისხმევას არ დაიშურებს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის" – აღნიშნა ზაკაევმა. მისივე თქმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ერთიანი კავკასიური სახლის მშენებლობის გარანტი უნდა გახდეს. ამიტომ, ჩეჩნეთი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ამ პრობლემის მოგვარებით. „ჩეჩნეთის ხელისუფლება უპირობოდ მხარს დაუჭერს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის ყველა ნაბიჯს, რომელიც კავკასიის გაერთიანებისკენ იქნება მიმართული", – დასძინა სტუმარმა. (გეა)

## არძინბამ ბრძანება გამოსცა

აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო დროს გახშირდა მოსახლეობის საკვებითა და ალკოჰოლური სასმელებით მოწამვლის შემთხვევები. ამის მიზეზია აფხაზეთში უხარისხო საქონლის შეტანა, რომლის ასაკრძალად სასწრაფო ზომები ტარდება. ამის შესახებ „იფრინდა"-ს კორესპონდენტს აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოში აცნობეს.

წყაროს თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი ეკონომიკურ ბლოკადას განიცდის, მის ტერიტორიაზე შედის სასურსათო საქონელი, ალკოჰოლური სასმელები და თამბაქოს ნაწარმი, როგორც საქართველოდან და რუსეთიდან, ისე თურქეთიდან.

მოწამვლის შემთხვევების ზრდასთან დაკავშირებით, ვლ.არძინბამ გამოსცა სპეციალური ბრძანებულება. (იფრინდა)

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# 1986 წლის დეკემბერი

## ფილიპ ბობკოვი

ერთ-ერთ გაზეთში, ისტორიულ მოვლენათა ჩამოთვლისას, ამგვარი სტრიქონები შემხვდა: „1988 წელი, ბაქო. პირველად 1986 წლის მოვლენების შემდეგ ალმაათაში მშვიდობიანი დემონსტრაციის დასაშლელად გამოყენებულ იქნა ძალა, რომელიც ყაზახეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიმდინარეობდა".

თვით მოვლენათა კომენტარი ამგვარი იყო: „1986 წელს ბრეჟნევის (ამჟამად რესპუბლიკის) მოედანზე, ყაზახეთის კპ ცკ-ს შენობის წინ შეგროვდა ახალგაზრდობა, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ყაზახეთის ცკ-ს პირველი მდივნის, დ.ა.კუნაევის თანამდებობიდან განთავისუფლების გამო. მათი უკმაყოფილების მიზეზი ისიც იყო, რომ ამ ადგილზე ცკ-ს „რეკომენდაციით" დაინიშნა გ.ვ.კოლბინი. ძალის გამოყენებამ 18 დეკემბერს საქმე სისხლისღვრამდე მიიყვანა. ეს „გორბაჩოვის ეპოქაში" პირველად მოხდა".

გ.ვ.კოლბინი, რომელიც ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა, ცნობილი იყო, როგორც ენერგიული, გამოცდილი მუშაკი, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ანტიალკოჰოლური კამპანიის დროს: ერთი წლის განმავლობაში მან მოახერხა ლოთობის, ბოდიში,- სპირტიანი სასმელების გადაჭარბებული რაოდენობით მიღების ფაქტების თითქმის მთლიანად აღმოფხვრა. ეს ილიჩის სამშობლოში, არ დაგავიწყდეთ. იგი „მაღლიდანაც" შეამჩნიეს. მაგრამ მთავარი როლი ითამაშა არა ანტიალკოჰოლურ კამპანიაში მიღწეულმა წარმატებებმა, არამედ იმან, რომ კოლბინი უნაკლო ადამიანი იყო, ძლიერი ორგანიზატორი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ულიანოვსკის ოლქისათვის.

ყაზახეთის კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივნის თანამდებობაზე კოლბინის არჩევა, შესაძლებელია, იმანაც განაპირობა, რომ იგი მანამდე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მეორე მდივნად და ედუარდ შევარდნაძის ახლო მეგობარი იყო. ამ უკანასკნელის შესახებ კოლბინი ყოველთვის აღფრთოვანებით ლაპარაკობდა. იგი აღტაცებული იყო ამბროსიევიჩის სიბრძნითა და გამჭრიახობით. რის შესახებაც არ უნდა დაეწყო საუბარი, ბოლოს მაინც თავისი კერპის ორბიტას უბრუნდებოდა. კოლბინის სასახელოდ უნდა ითქვას, მან შეისწავლა ქართული ენა, ხოლო ყაზახეთში მისვლისთანავე ყაზახურის შესწავლას მოჰკიდა ხელი.

საქართველომდე კოლბინი სვერდლოვსკში მუშაობდა, სადაც აგრეთვე მეორე მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

მე ერთხელ შევხვდი გენადი ვასილის ძეს, 1986 წლის 16 დეკემბერს გავიგე ყაზახეთის ცკ-ს პირველი მდივნის პოსტზე კუნაევის კოლბინით შეცვლის შესახებ. გულში რაღაცამ გამკრა. ამიტომაც არ გამიკვირდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მეორე დღეს ალმა-ათის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყეს ყაზახეთის კომპარტიის ცკ-ს შენობის წინ. „კოლბინი არ გვინდა! – ყვიროდნენ ისინი. – პირველი მდივანი ყაზახი უნდა იყოს!" შეიძლება ისინი მართლებიც იყვნენ, თუკი... საქმე ის არის, რომ ყაზახეთის კომპარტიის მეთაურის პოსტზე რამდენიმე ადამიანს გააჩნდა პრეტენზია და მათ შორის პირველი იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნურსულტან ნაზარბაევი და ყაზახეთის კომპარტიის ცკ-ს მდივანი ზაქაშ კამალიტდინოვი.

ზაქაშს მე კარგად ვიცნობდი, რამეთუ, მანამდე, სანამ იგი ცკ-ში მოვიდოდა, რამდენიმე წლის წინათ ყაზახეთის სუკ-ის უფროსი იყო, სადაც ის კუნაევმა გაამწესა. მისი ცკ-ში დაბრუნება, სადაც იგი იდეოლოგიურ სამუშაოს უძღვებოდა, ბევრმა ისე გაიგო, თითქოს კუნაევი მას თავის მემკვიდრედ ამზადებდა.

უნდა ითქვას, რომ კამალიტდინოვი დიდ გულმოდგინებას იჩენდა. ერთგულად ემსახურებოდა კუნაევს და მოსკოვის თვალშიც აგროვებდა „ჩასათვლელ" ქულებს. მისი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ სკკპ ცკ-ს მხარდაჭერის მოსაპოვებლად იგი ხშირად უხეშ შეცდომებს უშვებდა ხოლმე. მას უნდოდა უფრო მეტ რუსად მოეჩვენებინა თავი, ვიდრე თვითონ რუსები იყვნენ. ზოგიერთი მისი გამონათქვამი ყაზახებისათვის ნამდვილად გამაღიზიანებელი იყო. ამ ნიადაგზე მას უსიამოვნო ურთიერთობები ჰქონდა ინტელიგენციასთან. ისეთ პატივსაცემ ადამიანთანაც კი, როგორიც იყო ოლჟას სულეიმანოვი.

ამის შესახებ მე არაერთხელ მითქვამს მისთვის ჯერ კიდევ სუკ-ში მუშაობის პერიოდში. მინდოდა შეცდომებისაგან დამეზღვია იგი. მაგრამ იგი მხოლოდ იმათ რჩევებს უგდებდა ყურს, ვისიც უფრო მოსწონდა.

ნაზარბაევი სულ სხვა წყობის ადამიანი იყო. კამალიტდინოვისაგან განსხვავებით იგი კარგი ეკონომისტი გახლდათ, შეეძლო კარგად გაძღოლოდა წარმოებას. ის მტკიცედ იდგა დედამიწაზე. ნაზარბაევი სავსებით მომწიფებული იყო იმისათვის, რომ შეეცვალა კუნაევი პირველი მდივნის თანამდებობაზე. და ალბათ მოსკოვიც მას დაუჭერდა მხარს. იგი 1986 წლის დეკემბერში გავიცანი. ამ ადამიანმა ჩემში დიდი სიმპათიები გამოიწვია. როგორც მგონია, მასაც იგივე გრძნობა ჰქონდა ჩემს მიმართ.

როგორც კი მივიღეთ ცნობა სტუდენტთა მღელვარების შესახებ, მაშინვე დავურეკე რესპუბლიკის სუკ-ის თავმჯდომარეს ვიქტორ მიროშნიკს. მან შეგვატყობინა, რომ მართლაც რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში ჩატარდა სტუდენტთა კრებები, სადაც გამოითქვა პროტესტი კოლბინის დანიშვნის ფაქტის გამო. დილით სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ, მდგომარეობა ძალზე დაძაბული იყო. მოსალოდნელი მასობრივი გამოსვლები შეიძლება ტრაგიკულად დამთავრებულიყო. გაისმა მოწოდებები დარბევის შესახებ. მაგრამ მიროშნიკი თვლიდა, რომ მოვლენები ჯერ კიდევ არ ატარებდნენ საფრთხის ნიშნებს. სუკ-ის თავმჯდომარე ვ.მ.ჩებრიკოვთან თათბირის შემდეგ დავასკვენით, რომ ჯერჯერობით არ ღირს ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება.

ამ დღეს მოსკოვში გაიხსნა ომისა და შრომის ვეტერანთა დამფუძნებელი კონფერენცია. მე ამ კონფერენციის მუშაობაში ვიღებდი მონაწილეობას. სხდომის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ გამომიძახა სკკპ ცკ-ს მდივანმა გ.პ.რაზუმოვსკიმ. მის მოადგილე ე.ზ.რაზუმოვთან ერთად ვიმსჯელეთ ალმა-ათაში მომხდარი მოვლენების შესახებ. რაზუმოვსკიმ მოინდომა ჩებრიკოვთან დაკავშირება. მე დავურეკე და გავიგე, რომ მიღებულია გორბაჩოვის მითითება ალმა-ათაში გაფრენის შესახებ. იქ თურმე სერიოზული მასობრივი უწესრიგობები მიმდინარეობდა უკვე. როგორც ჩებრიკოვის ტონიდან და რაზუმოვსკის ქცევიდან ჩანდა, ქვეყნის ხელმძღვანელობა არ იყო კმაყოფილი სუკის მომლოდინე პოზიციით. ჩვენ სიტუაცია გავაანალიზეთ თვითმფრინავში. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი მ.ს.სოლომენცევი ძირით-ძირობამდე იკვლევდა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. როგორ გამორჩა სუკ-ს სტუდენტთა მასობრივი მღელვარება. მე მას პირობა მივეცი, რომ ადგილზე ყველაფერს გავარკვევდი.

ჩვენი მისვლისათვის დებოში დამთავრებული იყო. ჩვენ მხოლოდ მის შედეგს ვხედავდით.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №48-79.

გაგრძელება იქნება

მეოთხე გვერდიდან

# ლენინიდან გორბაჩოვამდე

ვანილად ჩაითვალა დანტესის განმგმირავი ტყვიის საფუძველზე („კრასნაია ზვეზდა", 1989, 5 თებერვალი). რომანოვების დინასტიის მომდევნო პერიოდის ვერცერთმა მეფემ ვერ გააუქმა ტრიბუნალის დადგენილება და ვერ მოახდინა პოეტის რეაბილიტაცია იმიტომ, რომ ძალაში იყო პეტრე პირველის მიერ მიღებული კანონი დუელის აკრძალვის შესახებ. მეფეები იცვლებოდნენ, თვითმპყრობელური სახელმწიფო კი განაგრძობდა არსებობას. მისი სამასწლიანი ისტორია, ავად თუ კარგად, საკუთარ კანონთა ფუნდამენტზე იდგა. ასე დარჩა პოეტის სული ხელშეუხლებელი, დაცული იურისპრუდენციის არენაზე ჯიჯგნისა და „წვალებისაგან".

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სალეჩევის აზრით, ტოტალიტარულ რეჟიმს თავისი არსებობის სიმყარისათვის აუცილებლად სჭირდებოდა კანონიერების უზენაესობის დაცვა და იგი იცავდა კიდეც მას. ასეთი კანონიერების იურიდიული საფუძვლები მოცემული იყო საზოგადოებრივი საკუთრების მცირედი მითვისების გამოც კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, კონტრრევოლუციური საქმეების დაჩქარებით, პროცესუალური გარანტიების დაცვის გარეშე განხილვის და სამუშაო დროის გაცდენის ან დაგვიანების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ 1932 წლის 8 აგვისტოს, 1934 წლის პირველ დეკემბერს და 1939 წელს მიღებულ კანონებში. ყოველ ქვეყანაში კანონები ცივილიზებულ სახეს მხოლოდ მათი შესრულების, გატარების შედეგად იღებს. სახელმწიფო როგორც ორგანიზაციაქმნილი, ორგანიზებული საზოგადოება, აღნიშნავს სალეჩევი, იშლება და ირღვევა, როცა კანონები კანონებად, უმოქმედოდ და უსიცოცხლოდ რჩებიან. ტოტალიტარული სახელმწიფო ტოტალიტარულ ყაიდაზე აგებულ კანონებს ეფუძნებოდა, მტკიცედ ატარებდა და ახორციელებდა მის მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, ხრუშჩოვის თვითნებობით, კონკრეტულ-ისტორიული პირობების, ფაქტორებისა და გარემოებების გაუთვალისწინებლად ტოტალიტარულ სახელმწიფოში წინათ მოქმედი კანონების გაუქმება და ამ ნიშნით რეაბილიტაციის მეორე ეტაპის დაწყება უწინარესად მიმართული იყო თვით ამ ტოტალიტარული სახელმწიფოს დანგრევისაკენ და მისი გულამაჩუყებელი სიტყვები მხოლოდ ფანდი იყო ვერაგული მიზნის დასაფარავად. (როგორც აღინიშნა, რეაბილიტაცია ომამდე იყო დაწყებული. იგი ჯერ ფინეთთან, შემდეგ გერმანიასთან ომებმა, ხოლო ომის შემდგომ გრანდიოზულმა აღდგენითმა სამუშაოებმა შეაფერხა. ამიტომ საჭირო და აუცილებელი იყო მისი გაგრძელება, მაგრამ არა მკრეხელური, სულელური გაბედულების გამოჩენის, შურისძიების წყურვილით, არამედ კოლექტიური პასუხისმგებლობისა და იმგვარივე თვითკრიტიკულობის გრძნობით, როგორადაც 1938 წელს მოხდა).

ბუნებრივია, ქვეცნობიერად ასეთი შეფარვის ფონზე განაწყენებულთა საზოგადოებაში შინ და გარეთ ხრუშჩოვი XX ყრილობის სახელთან ერთად აღიარებულ ფეტიშად უნდა ქცეულიყო და იქცა კიდეც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ხრუშჩოვის დროიდან იდეოლოგიურ სფეროს, პრესას, ტელევიზიას, შემოქმედებით ორგანიზაციებს ყველგან, ყოველ კიდითკიდეში დაეუფლა ამ საზოგადოების ფენებიდან გამოსული ახალი თაობა, რომელიც ხელმძღვანელობაში გორბაჩოვის მოსვლის პერიოდისათვის გარკვეულ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა.

გორბაჩოვის პერიოდის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი თითქმის მეოთხედი საუკუნის შუალედის შემდეგ დაიწყო, როცა გაზეთ „იზვესტიის" 1988 წლის 7 თებერვლის ნომერში (№38) გამოქვეყნდა ცნობა შეფერადებული, წინანდელისგან უფრო ხმიანი და ელერადი სათაურით: „30-40-იანი წლების პერიოდის და 50-იანი წლების დასაწყისის რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებით შემსწავლელი სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს კომისიისაგან", რომელსაც პოლიტბიუროს წევრი, სკკპ იდეოლოგიური დარგის ხელმძღვანელი, რეპრესირებულის შთამომავალი ალ.იაკოვლევი თავმჯდომარეობდა. წინა გვერდზე დაბეჭდილ ამ ინფორმაციას შიდა გვერდზე ჟურნალისტის შეკითხვების კვალდაკვალ კომენტარს უკეთებდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი ჩინოვნიკ-მოხელე, რომლის აზრით, სასამართლოს პლენუმის 4 თებერვლის დღე „ისტორიაში შევა, როგორც სამართლიანობის დღესასწაული".

გორბაჩოვს, როგორც ხრუშჩოვს, ლენინური კურსის გაგრძელების საფარქვეშ სჭირდებოდა მხოლოდ და მხოლოდ 30-40-იანი და 50-იანი წლების უკანონობის გამომზეურება, მისგან ვითომდა ლენინის გაწმენდისათვის, ხოლო, რა თქმა უნდა, ლენინის დროის უკანონობას განაპირობებდა იმ დროის „კონკრეტულ-ისტორიული პირობები". 30-40-50-იან წლებს არ გააჩნდა „კონკრეტულ-ისტორიული პირობები"?

ეს აზრი რომ არ დაბადებოდა ვინმეს, გორბაჩოვმა ოქტომბრის რევოლუციის სამოცდაათი წლისთავის გამო გაკეთებულ მოხსენებაში, ისე როგორც ადრე ხრუშჩოვმა, პარტიის 22-ე ყრილობაზე, 1987 წლის 2 ნოემბერს სტალინი კვლავ დამნაშავედ გამოაცხადა. ამით მან ფარდა ჩამოაფარა ორი წლის წინათ, 1985 წლის 8 მაისს, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მისსავე მოხსენებაში სტალინის როლის გამოკვეთისას დამსწრე საზოგადოების „მხურვალე და ხანგრძლივ ოვაციას". ეს ახლა წიგნთსაცავების ფოლიანტებშია საძიებელი.

თავის მხრივ პოეტმა ევგენი ევტუშენკომ არ დააყოვნა და 1962 წელს ხრუშჩოვის ზეგავლენით დაწერილი ლექსი გორბაჩოვის მეოხებით 1987 წელს ისე გადააკეთა, რომ ისტორიას შემორჩენოდა პროფაშისტური სტრიქონები: „დაე, მე მითხრან: „დამშვიდდი". – მშვიდად მე ყოფნა არ შემიძლია, სანამ დედამიწაზე სტალინის თუნდაც ერთი მემკვიდრე ცოცხალია" („ნედელია", 1987, №45).

„– რამდენადაც ვიცით, თქვენ ხელმძღვანელობდით დღევანდელი ზნეობრივი კატეგორიებით. მაშინ, 1938 წელს, სასამართლოები ხომ სხვა ატმოსფეროში, სხვა შეფასებებით მუშაობდნენ.

– ვერ დავმალავ. ეს საკითხი უძილო ღამეები მიჯდებოდა. მაშინდელი კანონმდებლობა, მართალია, არ იყო დღევანდელთან შედარებით სრულყოფილი, მაინც შესაძლებლობას იძლეოდა სწორად გარკვეულიყვნენ საქმეში და გამოეტანათ სწორი გადაწყვეტილებები. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკაში იმ დროს არ იყო სერიოზული გადახვევები კანონებიდან. რაც შეეხება პოლიტიკურს...

– ძველი თაობის ხალხი დაიჯერებს თქვენი მოქმედების სისწორეს?

– მგონი, კი.

– ხომ არ იქონია გავლენა გორბაჩოვის მიერ გასული წლის 2 ნოემბერს გაკეთებულმა მოხსენებამ, მის მიერ მიცემულმა შეფასებებმა?

– მოხსენებაში მოცემული შეფასებები ხომ პარტიის და ხალხის, ე.ი. კოლექტიური აზრის გამოხატულებაა". (გაზეთი „იზვესტია", 1988, №38).

დიახ, ზემოთ აკი ვნახეთ, „პარტიისა და ხალხის კოლექტიური აზრის" როგორი გამოხატულება იყო პიროვნების კულტის შესახებ ხრუშჩოვის მოხსენება და როგორ ხორციელდებოდა რეაბილიტაცია ამ მოხსენების შუქზე ტყუპის ცალივით არ ჰგვანან ერთმანეთს?

მივუბრუნდეთ ისევ ნ.ბუხარინის რეაბილიტაციის თემასთან დაკავშირებით პრესაში (ჟურნალები: „იზვესტია", „ოგონიოკი", გაზეთები: „იზვესტია", „ნედელია", „სოვეტსკაია კულტურა" და სხ.) გაჩენილ არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. მათი ძირითადი არსი რადიკალურად არათუ ურთიერთ საპირისპიროა, ზოგჯერ პირდაპირ საწინააღმდეგოა მომხდარი ფაქტის, კატეგორიული დადასტურებაა 1938 წელს გამოტანილი განაჩენის სისწორის, აქედან გამომდინარე, პირდაპირი და კატეგორიული მაჩვენებელია მიცვალებულთა (ამ შემთხვევაში ნ.ბუხარინის) სულების „აწიოკების", „ქრისტიანული დოგმების უგულებელყოფის, ადამიანური, ეთიკური ნორმების წაბილწვის და ფეხქვეშ გათელვისა.

ნაადრევი, თითქოს წუთიერი გამოდგა ბუხარინის ქვრივის ანა ლარინას ქედმაღლობა ქმრის ანდერძის სიტყვა-სიტყვით, წერტილმძიმიანად ორმოცდაათი წელიწადი ზეპირად შენახვის ლეგენდარული სიდიადით. ვლადიმერ სოლოუხინი საჯაროობისა და დემოკრატიის შუქზე მას ერთადერთ შეებას ანიჭებს – არ ავალდებულებს მონანიებას და პატიებას „ტერორის თეორეტიკოსის" მიერ ჩადენილი დანაშაულობებისათვის. არა, ლარინამ არ უნდა აგოს პასუხი ქმრის ცოდვების გამო. – ასეთია მისი დევიზი.

ჯერ კიდევ 1920 წელს გამოცემულ წიგნში – „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა" ბუხარინის კლასიფიკაციით სოციალიზმის მშენებლობის დაწყებამდე ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყვნენ შემდეგი სოციალური ფენები და ჯგუფები: 1. ძველი პარაზიტული ელემენტები – ბანკირები, ბირჟავიკები, სპეკულიანტები, მემამულეები, მეწარმეები, 2. ბურჟუაზიული წარმოშობის წარმოებათა, სინდიკატებისა და ტრესტების ორგანიზატორები და დირექტორები, კაპიტალისტურ სამყაროსთან დაკავშირებული მსხვილი რანგის ინჟინრები, გამომგონებლები და სხვა, 3. ამ სამყაროს არამწარმოებელი ადმინისტრაციული არისტოკრატია, სახელმწიფო მოხელეები, გენერლები და სხვა, 4. კვალიფიციური და ტექნიკური ბიუროკრატია (სამხედრო, სასულიერო, სამოქალაქო, ტექნიკოსები, ზოოტექნიკოსები, ექიმები, ჟურნალისტები, ვექილები, მასწავლებლების უმრავლესობა და სხვა). 5. ოფიცრობა, 6. მსხვილი შეძლებული გლეხობა, 7. საშუალო და წვრილი საქალაქო ბურჟუაზია, 8. სასულიერო წოდება არაკვალიფიცირებულთა ჩათვლით. („ოგონიოკი", 1991, №29, გვ. 21).

ვინლა რჩებოდა მოსპობის გარეშე? (რუსეთის მეორე დიდმა პოეტმა სერგეი ესენინმა ვერ გაუძლო ნ.ბუხარინის რაპულ მასირებულ თავდასხმებს პარტიული პრესის ფურცლებიდან და 1925 წელს თავი მოიკლა).

1923 წლიდან 1934 წლამდე ნ.ბუხარინს რვაჯერ ჰქონდა დაწერილი განცხადება თავისი შეცდომების აღიარების შესახებ. განსაკუთრებული გააქტიურებით ებრძოდა იგი პარტიის ხაზს 1928 წელს. იმდენად მერყევი, ცვალებადი და არამტკიცე იყო თავისი შეხედულებებისა და იდეების გამოხატვაში, მის მიმართ იმ დროიდან ზედგამოჭრილ დახასიათებად დარჩა ტროცკის გამონათქვამი „სტალინთან ერთად ბუხარინის წინააღმდეგ – კი, მაგრამ ბუხარინთან ერთად სტალინის წინააღმდეგ – არასოდეს". XVII პარტყრილობაზე იგი გამოდის ვითომდა თვითკრიტიკულად და აცხადებს: „ამხანაგი სტალინი სავსებით მართალი იყო, როცა მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის ბრწყინვალე გამოყენებით გაცამტვერა ჩემ მიერ ფორმულირებული მემარჯვენე გადახრის მთელი რიგი თეორიული წანამძღვრები".

ითვლებოდა რა გაზეთ „იზვესტიის" რედაქტორად და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ნ.ბუხარინი 1935 წელს საგანგებო მივლინებით იგზავნება საფრანგეთში კ.მარქსის არქივის ჩამოსატანად. იმ რვა განცხადებისა და ყრილობაზე პირფერული გამოსვლის მიუხედავად პარიზშიც და ბერლინშიც ის ფარულად ხვდება ემიგრანტებს და ამ შეხვედრის კასეტებმა აგენტურის მეშვეობით მოსკოვში ამოყო თავი. ამის მიუხედავადაც, მისდამი ლოიალური დამოკიდებულება ოდნავადაც არ შეცვლილა. როცა 1936 წლის ზინოვიევ-კამენევის სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა გარკვეულმა ნაწილმა „ჩაითრია" იგი, მხოლოდ ამ დროიდან დაიწყო გამოძიება.

კითხულობს ჟურნალ „იზვესტიის" 1989 წლის მე-5 ნომრის 69-85-ე გვერდებზე სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს კომისიის სახელით გამოქვეყნებულ, ტენდენციური ჩანართებით, მაგრამ მაინც უცვლელ დოკუმენტურ მასალებს და ძალაუნებურად სიმპათიური გრძნობა გიქრება, დოკუმენტები ძალაუნებურად თვით ამხელენ კომისიის გადაწყვეტილების ულოგიკობაში და ნილაბს ხდიან ხრუშჩოვ-გორბაჩოვის ოინებს, მათ ქადაგებებს დემოკრატიასა და ჰუმანიზმზე. პარალელისათვის ამ შემთხვევაში აუცილებელია თვალი გადავავლოთ დასახელებული ჟურნალის მომდევნო, 1991 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ 1953 წლის ივლისის პლენუმის სტენოგრამას და გაზეთ „იზვესტიის" ამავე წლის 4 და 5 იანვრის ნომრებში ზედიზედ დასტამბულ ნიკოლოზ მიხაილოვის სტატიებს სათაურით, „1953-ის ივლისში".

ყველა ამ მასალიდან ჩანს, რომ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის, ნ.ბუხარინის საკითხი საგამომძიებლო ორგანოებზე გადაცემამდე რამდენჯერმე განხილული ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, პოლიტბიუროს მიერ შექმნილი კომისიების სხ-



დომებზე მათი თანდასწრებით მომხდარა კრადეკთან, გ.სოკოლნიკოვთან, ე.კულიკოვთან, ლ.სოსნოვსკისთან, ი.პიატაკოვთან, ვ.ასტროვთან და სხვებთან ბუხარინის პირისპირ შეხვედრა. მარტო 1936 წლის სექტემბრიდან 1937 წლის თებერვლამდე ცენტრალურ კომიტეტს გადაუმოწმებია ბუხარინზე შესული სამოცი „ჩვენება". 1936 წლის 4-7 დეკემბრის ცკ-ის პლენუმზე სამი დღის განმავლობაში მას საშუალება ჰქონდა თავი დაეცვა მოწმეთა ბრალდებებისაგან. საკითხი დამატებითი შესწავლისათვის გადადებულა მორიგ პლენუმამდე.

ამ პლენუმზე, რომელიც შედგა 1937 წლის თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში, ბუხარინის საკითხზე მისი თანდასწრებით მოხსენებით გამოსულა პოლიტბიუროს მიერ გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარე ა.მიქოიანი. პლენუმს დამატებით კიდევ გამოუყვია სპეციალური კომისია 35 კაცის შემადგენლობით წინადადებათა პროექტის საბოლოო დაზუსტებისათვის. მასში შედიოდნენ: ნ.ხრუშჩოვი, ნ.კრუპსკაია, მ.ულიანოვა და სხვა. კომისიის საერთო მოთხოვნისათვის ბუხარინის სასამართლოში გადაცემის და დახვრეტის თაობაზე მხარი არ დაუჭერია სტალინს. 1937 წლის 27 თებერვალს პლენუმს მიუღია დადგენილება ბუხარინის პარტიიდან გარიცხვის, ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყვანის და კიდევ დამატებითი გამოძიებისათვის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გადაცემის შესახებ. ნივთიერი მტკიცებების (საზღვარგარეთული კასეტების გამოყენებით) და დანაშაულის აღიარების საფუძველზე 1938 წლის მარტში ნ.ბუხარინს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა.

„1953 წლის 26 ივნისს, – გვიამბობს ბერიას შვილი, ატომის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გენერალური დირექტორი სერგო გეგეჭკორი, – 11 საათზე დანიშნული იყო სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა. მამამ სახლში გვითხრა, იგნატიევის საკითხს განვიხილავთ ექიმთა და მეგრელების საქმის შეთითხვნაზეო. იმ დღეს მთავრობის სხდომაზე უნდა დამტკიცებულიყო წყალბადის ბომბის მატარებელი რაკეტების შექმნის დამთავრება. საშენ მასალათა მინისტრის ვანიუკოვის კაბინეტში მოვიყარეთ თავი. პრეზიდიუმის სხდომა გადაიდო. ვცხოვრობდით კაჩალოვის ქუჩაზე. მამას ჩვევად ჰქონდა საუზმე სახლში ეჭამა. შებრუნებულა. მთავრობის სხდომაც იგვიანებდა. დღის 2 საათზე ვანიუკოვის კაბინეტში მფრინავმა ანოხინმა დამირეკა – თქვენი სახლი გარშემორტყმულია ჯარითო. მერე გავიგე, რომ გამოუტანიათ ბრეზენტგადაფარებული კაცი. ის იყო მოკლული მამა. მე და დედა დაგვიჭირეს. თექვსმეტი თვე ცალ-ცალკე ვიყავით" (გაზეთი „დრონი", 1992, 18 აპრილი).

აქედან ცხადი ხდება, რომ 1953 წლის დეკემბრის სასამართლო ფარსი ხრუშჩოვის რეჟისორული ვირტუოზობით დადგმული ის „სპექტაკლი" იყო, რომელსაც არ ჰყავდა და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა მაყურებელი. ასეთივე რეპრესია განხორციელდა იმ ხანებში ბაგიროვის მიმართაც.

ამასთან დაკავშირებით, ნ.მიხაილოვი თავის ზემოთ მითითებულ სტატიაში ლოგიკურად ამახვილებს ყურადღებას ანალოგიაზე „მართალია, წინათ ირღვეოდა წესი და კანონი, მაგრამ როცა საქმე შეეხებოდა უმაღლესი პარტიული არეოპაგის წევრობას, ტრადიციის ეტიკეტი მოითხოვდა თუნდაც ცენტრალური კომიტეტის თანხმობას, როგორც ეს მოხდა ბუხარინისა და რიკოვის შემთხვევაში. აქ კი, პლენუმზე, უმაღლესი ეშელონიდან არავის მოსვლია აზრად მოეთხოვათ განმარტება „პარტიული ამხანაგიდან" (გაზეთი „იზვესტია", 1991, 4 იანვარი).

მეორეს მხრივ, ნ.მიხაილოვი აანალიზებს რა პლენუმის სტენოგრამას, [illegible] დასკვნამდე, ლ.ბერიას მიმართ გამოყენებული [illegible] სამშობლოს ღალატისა და ტერორისტული აქტების მოწყობის თაობაზე, აბსოლუტურად აბათილებს პლენუმზე გამოსული „ხელმძღვანელი ამხანაგების" სიტყვები. მათი მიხედვით ბერიას უმტკიცდებოდა არა იმპერიალიზმის აგენტობა, არამედ ორი გერმანიის შეერთების, იუგოსლავიასთან კავშირურთიერთობის აღდგენის, ნაციონალური პრობლემისადმი ახლებური მიდგომის მოთხოვნა და, რაც მთავარია, მისწრაფება ძალაუფლების ხელში აღებისაკენ. აი, ამ უკანასკნელის შიშით, კანონიერების ყოველგვარი დარღვევით, პლენუმამდე იგი მოსპობილ იქნა.

სტალინი და სტალინიზმი ხრუშჩოვისა და გორბაჩოვისათვის ადამიანებზე, საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ის ხელსაყრელი, ფართო ფოჩებიანი ქოლგა იყო, რომლითაც, ერთის მხრივ, საიმედოდ იცავდნენ თავს ქვეყნის მართვის უუნარობის გამო ოპოზიციონერთა თავდასხმებისგან, ხოლო, მეორეს მხრივ, მის ჩრდილს შეფარებულნი ადვილად ახერხებდნენ ტყუილ-მართლის ერთმანეთში აზელვით ახალგაზრდა თაობების აზრის და გონების მოწამვლას, მამებისა და შვილების გადაკიდებას, ზნეობრივ ღირებულებათა თანდათანობით გაქრობის გზით ამორალიზმისა და ატავიზმის აღზევებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი იწრთობოდნენ წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი ვერაგობასა და ცბიერებაში.

ასეთია, ჩემი თვალთახედვით, განხილული მწარე სინამდვილის ძირითადი ზოგადპოლიტიკური ასპექტები. რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთქმულიდან?

1. ლენინიდან გორბაჩოვამდე ყოფილი სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის მმართველობის სისტემა ერთადერთი უნიკალური უსისტემო სისტემა იყო მსოფლიოს უკიდეგანო სამყაროში. უსისტემობა მდგომარეობდა მის არათანმიმდევრულობაში, უნიკალურობა – გამძლეობაში. თუ გამძლეობის კრიტერიუმად ცოცხალ ორგანიზმის ასაკობრივ განსაზღვრებას მივიღებთ, მაშინ სამოცდაცამეტი წელი არ გამოდგება სისტემის უნიკალურობის ბარომეტრად.

2. ამიტომ აქედანვე უნდა გაიმიჯნოს უნიკალური – უნიტაზისაგან, წინაკარი – უკანისაგან, პროლოგი – ფინალისაგან. მათი ერთმანეთში გათქვეფა ისეთივე დომხალია ისტორიისათვის, როგორი სასაცილოდ და კურიოზულიც იყო ლენინური კურსის ტრაფარეტულად მორგება ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ჩერნენკოს და გორბაჩოვის თანამდებობრივ ხამუტებზე.

3. ისინი მეტ-ნაკლებად უფრო ხრწნიდნენ, ვიდრე მატებდნენ რაიმეს მმართველობის მზამზარეულად ბოძებულ სისტემას, უფრო ალპობდნენ, ვიდრე აჯანსაღებდნენ, უფრო და უფრო ინტენსიურად ანგრევდნენ მის საძირკვლებს, კედლებს და ქონგურებს, ვიდრე ზრდიდნენ და განამტკიცებდნენ. „მე ოცდათხუთმეტი წელიწადი ვსწავლობდი საბჭოთა ეკონომიკას და მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარი თვალებით ვხედავდი, როგორ ნადგურდებოდა იგი... ინფრასტრუქტურების და სარემონტო ხარჯების სისტემატური შემცირების შედეგად ფიზიკურად მწყობრიდან გამოდიოდა ტრანსპორტი, სათბობი სისტემა, მეტალურგიული აგრეგატები" (ო.ლაცისი, გაზეთი „იზვესტია", 1991, №100).

4. მაშასადამე, კომუნისტური პარტიის მმართველობის ისტორია მისი ხელმძღვანელი ბირთვის გამოცვლის, წინასა და მომდევნოს შორის მემკვიდრეობით კავშირის, თუ არაკავშირის, ისტორიაც არის.

5. აქედან გამომდინარე, უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან მმართველობის საძირკვლების ჩამყრელ-ჩამბეტონებელი (ლენინი), მასზე დიდი რწმენის და დიდი იმედის, უზარმაზარი სახელმწიფოებრივი წყობილების დამშენებელი, მართლაც საშიში, უძლეველი იმპერიის შემქმნელი (სტალინი), შემდეგში ყოველივესი და ყველაფრის გამპარტახებლებისა და გამჩანაგებლებისგან. ასეთი თვალსაზრისი და მიდგომა ადრინდელი სოფლური ცხოვრების ადათ-წესშიც იდო. მუდამ პატივით იხსენიებოდა კარგი, ლამაზი, მდიდარი სახლ-კარის დამტოვებელი წინაპარი, აუგად კი – კერის ულირსი გამგრძელებელი.

6. ამ ღვთისნიერი ტრადიციის პოზიციებიდან უკანასკნელად კიდევ ერთხელ შევხედოთ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის მმართველობის სისტემის ნანგრევებს, რომლებსაც არც აღდგენა, არც შეკოწიწება და არც ფასადებზე აბრების გამოცვლა ამიერიდან არაფერს უშველის. არც პარაკლისს გადაუხდის ვინმე ქვეყნის სამასხარაოდ თავისი არსებობის სამარცხვინოდ დასრულებისათვის. 37-ის ტრაგიკულ ამბებზე ორმოცწლიან პერმანენტულ ფსიქიკურ დაწოლას გარდუვალად უნდა მოჰყოლოდა ტაკიმასხრული ასეთი შედეგი და სავსებით ლოგიკურად მოჰყვა კიდეც.

7. მაგრამ იმავე ორმოცი წლის მანძილზე ანტიპოდური ლოგიკურობით და გარდუვალობით კიდევ უფრო მონუმენტურად წარმოისახა სტალინის ფიგურა. იგი განდიდდა, გაიზარდა და ამაღლდა პროგრესულად მოაზროვნე ისეთი გამოჩენილი ადამიანების, მხედართმთავრების, მწერლების და მეცნიერების მიერ, როგორებიც იყვნენ და არიან: უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ რუზველტი, ეიზენჰაუერი, ლიონ ფოიხტვანგერი, ანრი ბარბიუსი, ჩარლზ სნოუ, ალექს დე ჯონდი, ადამ ულანი, მილოვან ჯილასი, მაქსიმ გორკი, მიხეილ შოლოხოვი, ვლადიმერ უსპენსკი, გიორგი ჟუკოვი, ნიკოლოზ კუზნეცოვი, ალექსანდრე ვასილევსკი, ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე და მრავალი, მრავალი, მრავალი.

8. ამიტომ, მიუხედავად პირადი ვნებისა, პატივი მაქვს არა მხოლოდ დავეთანხმო ამ ადამიანთა ნააზრევს და ნაწინასწარმეტყველევს, არამედ გავბედო და დავსძინო კიდეც: დედამიწის ზურგზე საკაცობრიო, კერძოდ, ომგამოვლილთა შთამომავლების საპარაკლისო ხსოვნაში, ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, მარადის დარჩება მეოცე საუკუნის გარიერაჟიდან საუკუნეთა უსასრულობაში სანათებლად მოვლენილი კაცი – ფოლადივით ურღვევი, კაცი – მითოლოგიურ გმირად გარდასახული, კაცი – მესია. და რომ მეამაყება: ეს კაცი იყო ქართველი, გორელი ულარიბესი მეწაღის შვილი, იოსებ ჯუღაშვილი.

## ცხინვალი წინადადებებს ამზადებს

ახლო მომავალში ცხინვალი ქართულ-ოსური დაახლოების ხელშემწყობი წინადადებების პაკეტს გადასცემს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს – აცნობა პრაიმ-ნიუსს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ლუდვიგ ჩიბიროვმა.

ამ წინადადებებით უნდა მომზადდეს თბილისისა და ცხინვალის მოლაპარაკებების ორმაგი რაუნდი, თუმცა მათი შინაარსის გამხელისაგან ჩიბიროვმა თავი შეიკავა. მოლაპარაკების მორიგი რაუნდის ვადები მას შემდეგ დადგინდება, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართული მხარის წინადადებებსაც მიიღებს.

გაცილებით მტკივნეული – სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსის საკითხი ღიად რჩება, ალბათ, შევარდნაძისა და ჩიბიროვის შესაძლო შეხვედრამდე. „ჩვენ ვიცით, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე ჯერ კიდევ გაზაფხულზე საუბრობდა ამ შეხვედრის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ოფიციალური მიწვევა დღემდე არ მიმიღია მისგან" – უთხრა პრაიმ-ნიუსს ლუდვიგ ჩიბიროვმა. (პრაიმ-ნიუსი)

### გადაწყვეტილების მიღება შორეული პერსპექტივაა

სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სესიამ გუშინ სამხრეთ ოსეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხი განიხილა, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია.

სამხრეთ ოსეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა შემდეგ შეღავათებს ითვალისწინებს – კომპანიების რეგისტრაციის პროცესის დაჩქარება, ყველა გადასახადიდან სრული გათავისუფლება (გარდა წლიური მოსაკრებლებისა და სარეგისტრაციო გადასახადისა), კომპანიების სავალუტო ავტონომია და სავალუტო კონტროლისაგან გათავისუფლება, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან გათავისუფლება, კომპანიების ანონიმურობის შენარჩუნება, კომერციული საიდუმლოების დაცვა და კომერციული საქმიანობის კონფიდენციალობა, ხელახალი რეგისტრირების გარანტია.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ლუდვიგ ჩიბიროვმა პრაიმ-ნიუსთან საუბარში თქვა, რომ „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ საკითხი ჯერ განხილვის პროცესშია და მის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შორეული პერსპექტივაა". (პრაიმ-ნიუსი)


რეკლამა გაზეთ „საქართველოში" თქვენი საქმიანობის წარმატების საწინდარია!

**დაგვირეკეთ 93-18-41**


## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

### ბინები

იყიდება არასტანდარტული 2 ოთახიანი ბინა, რუსთაველის გამზირზე. საერთო ფართი 101 კვმ ფასი 60000 დოლარი. ტელ. 98-66-49

იყიდება სააგარაკე მიწის ნაკვეთი ნაფეტვრებში. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან 6 კმ. მანძილზე, შემოღობილია ჭიშკრით ფასი 300 ლარი. ტელ. 66-72-05 (საღამოს საათებში)

იყიდება სინკარი სიგრძე 6 მ. 30 სმ, სიგანე 1მ. 20 სმ. 3 ცალი, თითოს ფასი 100 ლარი. ტელ. 66-72-05 (საღამოს საათებში).

იყიდება სასწრაფოდ 2 ოთახნახევრიანი სუფთა ბინა ტელეფონით, რკინის კარით, სარდაფით. III სართულზე. სანტექნიკა ახალია. მეტრო „ღრმაღელესთან" ახლოს, ფასი შეთანხმებით ტელ. 60-72-91

იყიდება 3 ოთახიანი ფინური ასაწყობი სახლი, ფასი 5000 დოლარი, ტელ. 95-30-47

იყიდება ოროთახიანი ბინა მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", 32 კვმ საცხოვრებელი ფართი, ლოჯია 15 კვმ, ჭერის სიმაღლე 3.20 მ. ტელ. 37-18-21

იყიდება 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მცხეთის რ-ნი სოფელ სასხორში. ხეხილით, მშენებარე ერთსართულიანი სახლით. ფასი 3000$ ტელ. 68-60-64 იზო ან კაკო

სასწრაფოდ იყიდება რუსთავში ერთოთახიანი ბინა. ფასი 1000$ ტელ. 63-63-25 ჰანრი ან ხატია

იყიდება 4 ოთახიანი ტელეფონიანი სუფთა ბინა მთაწმინდაზე. III სართულიანის მე-3 სართულზე. იტალიურ ეზოში. საწყისი ფასი 20000$ ტელ. 64-38-31; 63-00-78

იყიდება სოფ.გლდანში მიწის ნაკვეთი 600 კვმ ხეხილით, ორსართულიანი სახლით, აბაზანით. შესაძლებელია ტელეფონის დადგმა. ფასი 15000$ ტელ. 62-24-26

იყიდება სამოთახიანი ბინა დიდ დიღომში, III მ/რ, 5 სართ. თუხარელის პროექტი, კარ-ფანჯრები არა აქვს ფასი 3600$ ტელ. 95-30-47

სასწრაფოდ იყიდება ორსართულიანი სახლი მანსარდით, საგურამოსთან (ზურიანში), დარჩენილია შავი სამუშაოები. ეზო 600 კვ.მ ხეხილით ფასი 4000$ ტელ. 36-45-00

სასწრაფოდ იყიდება 6 ოთახიანი არასტანდარტული იშვიათი ბინა რუსთაველზე. ლადოძის წყალთან. III სართულზე. საერთო ფართი 200 კვმ, ფასი 75000$ ტელ. 38-01-11

ვცვლი სამოთახიან პრივატიზებულ კუთხის სუფთა ბინას ლოჯით 8 სართულიანის მე-7 სართულზე. ტელეფონით, სარდაფით, დიღმის მასივში ახმეტელის ქუჩა №6, კინოსტუდიასთან, ტელ. 52-76-11 დათო

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში. კეთილმოწყობილი, იზოლირებული, საცხოვრებელი ფართი 80 კვმ, აქვს საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ცხელი წყალი და დიდი სარდაფი. ფასი შეთანხმებით ტელ. 72-26-31

იყიდება 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი 2 სართულიანი სახლით, 2 სართულიანი ავტოფარეხით, ყველანაირი მსხმოიარე ხეხილით. მდებარეობს პლასტმასის ქარხნის ნაკვეთების ტერიტორიაზე. ფასი შეთანხმებით ტელ. 62-24-26 (21 საათის შემდეგ)

იყიდება კერძო სახლი საბურთალოზე ეზოთი და 400 კვ.მ ხეხილიანი ბაღით, მანქანის სადგომით მიშენება-დაშენების პერსპექტივით, ფასი შეთანხმებით ტელ. 38-30-25

იყიდება ერთოთახიანი ბინა + 30 კვ.მ მიშენებით, სარემონტო, იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე, შესასვლელი პაევლოვის მხრიდან. ფასი შეთანხმებით ტელ. 23-02-62

იყიდება მიწის ნაკვეთი 1200კვ.მ, შემოღობილია რკინის ბადით, აქვს რკინის კარებით. არის მსხმოიარე ხეხილი. დგას რკინის ვაგონი, მის. მცხეთის რ-ნი სოფ. მუხრანთან ახლოს. ტელ. 99-91-32 თამარი

### სხვადასხვა

მივიღებ შეკვეთას თეთრეულის ინდივიდუალურად რეცხვაზე, შეღავათიან ფასებში – 1 კომპლექტი 3 ლარი. ტელ. 35-02-52

მოვუვლი და ვასწავლი ერთიდან 10 წლამდე ასაკის ბავშვებს. ტელ. 22-45-85 ელზა

სასწრაფოდ იყიდება რეგისტრირებული პეიჯერი „მოტოროლა" პასპორტით. ფასი 90 ლარი. ტელ. 52-99-50

შევისყიდი სასწრაფოდ გერმანული წარმოების გიტარას შეღავათიან ფასებში. ტელ. 64-76-77 მაიკო

იყიდება პურის საცხობი ღუმელი რუსეთის, 3 განყოფილებიანი. ფასი 500$ ტელ. 35-02-31 მიშკა (საღამოს საათებში)

იყიდება პროფესიონალური ვიდეომაგნიტოფონი „პანასონიკი" და ტელევიზორი „ტესლა", ფასი 500$ ტელ. 29-21-75

იყიდება კაკლის ხის ბუფეტი, სიმაღლე 1მ. 85 სმ. სიგანე – მეტრნახევარი. ფასი 700 ლარი.

იყიდება ჟურნალების მაგიდა ახალი. ფასი 70 ლარი. ტელ. 22-23-32 მანანა

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით კეთილმოწყობილი მაღაზია თავისი ინვენტარით, რომლის ფართია 200 კვ.მ აქვს საწყობი 250 კვ.მ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-26-31

ვარ მაღალი კვალიფიკაციის ელექტრიკოსი. იაფად და ხარისხიანად ვაკეთებ ყოველნაირ ელექტროგაყვანილობებს. ვაკეთებ სხვადასხვა მანქანა-დანადგარების ელექტრომონტაჟს. ტელ. 98-33-59 რუდიკა (17 სთ-ის შემდეგ)

მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს ან მოხუცს. ვიღებთ შეკვეთებს ხინკლის დამზადებაზე. ტელ. 37-72-58 ნუნუკა; 31-67-32 მარინა

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით რუმინული სამზარეულო „ნონა", კონდენციონერი BK-1500, ამერიკული ჯიბის ტელეფონი „მოტოროლა". აქვს დამატებით 2 ელემენტი. იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი". ეკრანი 72 სმ დიაგონალი. იაპონური ვიდეომაგნიტოფონი „პანასონიკი", ტელევიზორი „იუნოსტი"-406 დმ. შავ-თეთრი. ფეხის საკერავი მანქანა „პოდოლსკი". წყლის გამაცხელებელი „ატმორი სუპერი" ისრაელის გამოშვება. ტრანზისტორი „ოკეანე" მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე. ტელ. 72-26-31

### ქირავდება

ქირავდება ვაკეში კერძო სახლის პირველ სართულზე 3 ოთახიანი ბინა საოფისედ. გარემონტებული, სველი წერტილებით, რკინის კარებით ფასი 350 დოლარი. ტელ. 22-35-22

ქირავდება 5 ოთახიანი საუკეთესო ბინა ვაკეში უნივერსიტეტთან, ავეჯით და თანამედროვე დიზაინით უცხოელებზე. ფასი 1000$ თვეში. ტელ. 38-01-11

ქირავდება ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე სამოთახიანი იზოლირებული ბინა. ტელ. 99-65-06; 61-34-89 ციცო.


**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

**93-18-41**


## შალვა ხელაშვილის ხსოვნას

ალბათ, მართალი უთქვამთ – სიკვდილიც რჩეულებს ესტუმრება ხოლმეო ნაადრევად. შენ ხომ ერთი დღეც არ გიცხოვრია კაცური ღირსების გარეშე. უზომოდ გიყვარდა სიცოცხლე, შრომა, ოჯახი, მშობლები, ნათესავები, მეგობრები და საქმე, რომელსაც ემსახურებოდი. მოკლედ, გიყვარდა ყველა და ყველაფერი. მათ შორის ახლად შეძენილი მანქანაც, პატარა ბავშვივით გიხაროდა და უვლიდი, მაგრამ არ დაგცალდა, დიდი სიჩქარით მომავალი მანქანა, რომლის მძღოლმაც ძლიერ ნასვამ მდგომარეობაში დაარღვია მოძრაობის ყველა წესი, დაგეჯახა და სიცოცხლეს გამოგასალმა. აუტანელი და მტკივნეული იქნება უშენობა. გპირდებით შენს დაწყებულ საქმეებს ღირსეულად გავაგრძელებთ, შენი სახელი კი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულებში. მარადიულ ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული, შალვა.

კობა ვაჭარაძე ოჯახით

## პენსიონერებს უფასო სასადილოებს სთავაზობენ

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები მიმდინარე წლის შემოდგომა-ზამთარში უფასო სასადილოებით მოემსახურებიან თბილისის 11 რაიონსა და საქართველოს 7 რეგიონში მცხოვრებ 17 ათასზე მეტ უმწეო პენსიონერს – აცნობეს პრაიმ-ნიუსს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის ბიუროს პრეს-სამსახურიდან.

საქართველოში დაწესებული პენსია 10, 20 ლარის ოდენობით სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით საარსებო მინიმუმის 20 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული თანხით იძულებულია იარსებოს 1 მილიონზე მეტმა კაცმა, რაც საქართველოს მოსახლეობის ერთ მეხუთედს შეადგენს.

საქველმოქმედო სასადილოებში ერთ სულზე დღეში ერთი თავი კერძი და 150 გრამი პური გაიცემა. თბილისში სასადილოები 11–15 საათებში მოემსახურებიან პენსიონერებს. (პრაიმ-ნიუსი)

## თბილისში მრიცხველების დადგმა დაიწყეს

გუშინ, ეახვლედიანის ქუჩაზე სახაზინო საწარმო თელასმა დაიწყო ელექტროენერგიის ხარჯვის განმსაზღვრელი მრიცხველების დაყენება.

როგორც „იფრინდა"-სათვის გახდა ცნობილი, მრიცხველები სიმენსის ტექნოლოგიით, ისრაელშია დამზადებული. ნოემბრის თვიდან კი, მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ მრიცხველების დამზადებისა და სხვა ქვეყნებში გაყიდვის ექსკლუზიური უფლება აიღო, იგი საქართველოშიც დამზადდება.

საგულისხმოა, რომ მომხმარებელი ელ.ენერგიის საფასურს „საქართველოს ბანკი"-ს მეშვეობით წინასწარ გადაიხდის. ანუ ბანკის კომპიუტერული ქსელი, სპეციალური პლასტიკური ბარათების მეშვეობით, აფიქსირებს ინფორმაციას გადახდილი თანხის შესახებ. ამავე ბარათებით ინფორმაცია შევა მრიცხველში, რომლის მეშვეობითაც, მომხმარებელს ელ.ენერგია გადახდილი თანხის შესაბამისად მიეწოდება. თანხის ამოწურვის შემთხვევაში, მრიცხველი მექანიკურად გათიშავს ელ.კვებას.

„იფრინდასთან" საუბარში სახაზინო საწარმო თელასის გენ.დირექტორმა ა.გაბრიჩიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული მრიცხველები საცხოვრებელ ბინებში უფასოდ დაიდგმება, ხოლო კომერციულ სტრუქტურებს იგი 100-დან 160 ლარამდე კრედიტით მიეცემათ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რა სიმძლავრით იყენებს ელ.ენერგიას. მისივე თქმით, კომერციულ სტრუქტურებში მრიცხველები წლის ბოლომდე დაიდგმება, ხოლო 1998 წლის იანვრიდან წლის ბოლომდე, მათ საცხოვრებელ ბინებშიც დადგამენ. თელასის გენ.დირექტორი თვლის, რომ აღრიცხვიანობის მოწესრიგებასა და თანხების ამოღებაში, მრიცხველების დადგმა რევოლუციური მოვლენაა. (იფრინდა)

# ლატარია ყველასათვის

## 8 აგვისტოს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 325317; | 80 ლარი – *19098; |
| 1000 ლარი – 466125; | 80 ლარი – *06929; |
| 900 ლარი – 537593; | 70 ლარი – *24824; |
| 800 ლარი – 277652; | 70 ლარი – *99050; |
| 700 ლარი – 334570; | 60 ლარი – *48965; |
| 600 ლარი – 528375; | 60 ლარი – *77725; |
| 500 ლარი – 144841; | 50 ლარი – *58652; |
| 500 ლარი – 517309; | 50 ლარი – *28585; |
| 400 ლარი – 216726; | 40 ლარი – *04907; |
| 400 ლარი – 171545; | 40 ლარი – *35650; |
| 300 ლარი – 262545; | 30 ლარი – *42765; |
| 300 ლარი – 171965; | 30 ლარი – *42525; |
| 200 ლარი – 284543; | 25 ლარი – **7616; |
| 200 ლარი – 282303; | 20 ლარი – **4658; |
| 100 ლარი – 533145; | 10 ლარი – ***785; |
| 100 ლარი – 220832; | 10 ლარი – ***834; |
| 100 ლარი – 452696; | 10 ლარი – ***494; |
| 100 ლარი – 250162; | 1 ლარი – ***593; |
| 100 ლარი – 393345; | 1 ლარი – ***125; |
| 90 ლარი – *77383; | 1 ლარი – ***317; |
| 90 ლარი – *24765; | 1 ბილეთი – *****7. |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

ოცდამეთერთმეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ–მდე. 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

1997 წლის XXXI ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **8103; 0789;** გათამაშებაზე შეუძლიათ 15 აგვისტოს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

## ალკვეთილია საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის მცდელობა

7 აგვისტოს, რუსმა მესაზღვრეებმა რუსეთ–საქართველოს საზღვარზე კვლავაც აღკვეთეს დიდი ბრიტანეთის სამი მოქალაქის მიერ საზღვრის მალულად გადაკვეთის მცდელობა. მათ თან ჰქონდათ განსაკუთრებული ალპინისტური აღჭურვილობა.

როგორც „იფრინდა“–ს კორესპონდენტს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში აცნობეს, ბოლო დროს, რუსმა მესაზღვრეებმა არაერთხელ დააკავეს უცხო მოქალაქეები, ძირითადად დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, რომლებიც რუსეთიდან საქართველოში მოხვედრას ცდილობდნენ. ამასთან, საზღვრის დამრღვევები ყოველთვის იყენებენ მაღალმთიან ადგილებს და თავიანთ ქმედებებს იმით ხსნიან, რომ მათ მთებში სიარული უყვართ. (იფრინდა)

## ● განვმარტავთ კანონს

## როგორ დავიცვათ საკუთრება

საქართველოში ყოველი მესაკუთრის უფლებებს იცავს სახელმწიფო.

იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრეს თავისი კუთვნილი ქონება წაართვა ვინმემ, ასევე, თუ მესაკუთრემ თავისი ქონება ათხოვა ან მიაქირავა ვინმეს და იგი უკან აღარ უბრუნებს, ე.ი. თუ ეს ქონება იმყოფება ვინმეს უკანონო მფლობელობაში, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს. მესაკუთრეს შეუძლია ასევე მოითხოვოს თავისი უფლებების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ხელს უშლის მას საკუთრების უფლების განხორციელებაში.

როგორც ვიცით, სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით მესაკუთრეს შეიძლება ჩამოერთვას კუთვნილი ქონება, მაგრამ თუ მესაკუთრე არ ეთანხმება ამას და მიაჩნია, რომ მას ამ ქონებას ართმევენ უკანონოდ, ეს გადაწყვეტილება ძალაში ვერ შევა, ე.ი. ქონება არ ჩამოერთმევა სასამართლოს გადაწყვეტილებამდე. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მესაკუთრე მართალია, თავისთავად ცხადია ეს ქონება შეუნარჩუნდება მესაკუთრეს და ამასთანავე მას [illegible] მიყენებული ზარალი. ზარალი უნდა [illegible] როს იმ ორგანომ, რომელმაც გამოსცა აქტი მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრეს ელახება საკუთრების უფლება ნებისმიერი ფორმით, მას შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში და მოითხოვოს თავისი უფლებების დაცვა. მესაკუთრის უფლებების დასაცავად სარჩელის აღძვრის უფლება აქვთ მასთან გათანაბრებულ პირებსაც. მაგალითად, მეუღლეს, მშობლებს, შვილებს, და-ძმებს და ა.შ.

მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი სურვილისა და შეხედულებებისამებრ თავისი საკუთრებით სარგებლობის, ასევე ამ საკუთრების განკარგვის ანუ მისი გაყიდვის, გაქირავების და ა.შ. უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირს. ამ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია კანონით და იმავე გარანტიებით, რომლებითაც სარგებლობენ ნამდვილი მესაკუთრეები.

**ზურა ქიქიძე,**
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა

„ენერგეტიკული სექტორის ფინანსური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და აუცილებელია „საქენერგომ“ გაამკაცროს მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურის ურჩ გადამხდელებზე ელექტროენერგიის შეწყვეტა“, – თქვა საუწყებათაშორისო საგანგებო კომისიის სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 25 იანვრის №53 ბრძანებულებით არის შექმნილი.

სხდომაზე მოისმინეს წყალტუბოს, მცხეთის, ტყიბულის, რუსთავის, ხაშურის, მარნეულის, სამტრედიის, ქუთაისის, ზუგდიდის მუნიციპალური ენერგოკომპანიების ანგარიში 1997 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ. სხდომამ აღნიშნული რაიონების ენერგოკომპანიების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა. საგანგებო ენერგეტიკულმა კომისიამ მიზანშეუწონლად ჩათვალა წყალტუბოს, ტყიბულის, მცხეთის და მარნეულის რაიონების გამანაწილებელი ენერგოკომპანიების ხელმძღვანელების: დ.ბლუაშვილის, კ.ბლუაშვილის, ი.ცირეკიძის, ო.ბერიძის, ზ.გოჩელაშვილის, მ.სიხოშვილის, ი.ტარშინის დაკავებულ თანამდებობებზე დარჩენა. ამასთან კომისიის სხდომამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გამანაწილებელი ენერგოკომპანიების დაქუცმაცება, რასაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ რაიონებში (კერძოდ, წყალტუბოს რაიონში ფუნქციონირებდა 3, მცხეთაში – 5, ტყიბულში – 2 ენერგოკომპანია), თავისი არსით ანტირეფორმისტულია და ამავე დროს იგი ხელს უწყობს თანხების მითვისებას.

საგანგებო ენერგეტიკული კომისიის გადაწყვეტილების შესახებ ეცნობათ შესაბამისი რაიონების გამგებლებსა და პრეზიდენტის რწმუნებულებს. მათ ეთხოვათ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში აღადგინონ ადგილობრივი ენერგოკომპანიების ერთიანობა და განახორციელონ სათანადო საკადრო ცვლილებები, ხოლო ზუგდიდის, ქუთაისის, სამტრედიის, ხაშურის, რუსთავის ენერგოკომპანიების ხელმძღვანელების საკითხს საგანგებო ენერგეტიკული კომისია სექტემბერში განიხილავს. (გეა)

## მაჭავარიანი კონკრეტულ პიროვნებებს არ ასახელებს

„ჩვენ არც მემარცხენეები ვართ, არც მემარჯვენეები და არც ცენტრისტები, თავს ასეთი ფუფუნების უფლებას ვერ მივცემთ. ჩვენ ვალდებულნი ვართ გავატაროთ ლიბერალური პოლიტიკა, ვინაიდან მემარცხენე ლიბერალები ვართ“ – განაცხადა მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა. „კავშირს დღეს სწორედ ის ადამიანები უტევენ, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ და ვერაფერს მიაღწიეს, დღეს კი შურთ, რომ საქართველო „მოქალაქეების“ შემწეობით ნორმალურად ვითარდება. თუ ვინმეს რაიმე კონკრეტული ბრალდებები გააჩნია, კეთილი ინებოს და წარმოადგინოს. დროა ზოგიერთები შეეშვან ორ და სამ სკამზე ჯდომას“ – დასძინა მაჭავარიანმა, თუმცა კონკრეტული პიროვნებების დასახელებისაგან თავი შეიკავა. (პრაიმ–ნიუსი)

## ...ოზურგეთის გარდა

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თემურ მურღულიას განცხადებით, სამინისტროს მიერ გატარებულმა საკადრო ცვლილებებმა ყველგან დადებითი შედეგები გამოიღო ოზურგეთის გარდა. „პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ, ოზურგეთის პოლიციაში კვლავ რადიკალური საკადრო ცვლილებები გავატაროთ“ – აღნიშნა მურღულიამ მოქალაქეთა კავშირის სამხარეო კონფერენციაზე გამოსვლისას“. (მოამბე–ექსპრესი)

## მოქალაქეთა რიგები მცირდება

ლანჩხუთის „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ თენგიზ ქერქაძემ „მოამბე–ექსპრესის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 500–დან 200 კაცამდე შემცირდა. თუმცა, მისი აზრით, 200 ლანჩხუთელის პოლიტიკაში ჩართვა იოლი არ არის. „სამწუხაროდ, საზოგადოება ვერ ხვდება, რომ არსებობს პარტია, რომლის მიზანი ხალხის კეთილდღეობაა“ – აღნიშნა ქერქაძემ. (მოამბე–ექსპრესი)

## ხოხმაკვორდი



**მხოლოდ დაზვერვაზე:** 1. თევზი, რომელსაც ვერაფერი დააკლო ცეცხლის ალმა; 6. პლატოზე გაზრდილი ფილოსოფოსი; 10. ურანისაგან გამოწვეული გაურკვეველი მდგომარეობა ძილსა და ღვიძილს შორის; 12. გლეხის საგერბო იარაღი; 13. კბილებიანი არომატული შეგრძნება; 15. წყალქვეშა ნავის „მუნჯი“ კაპიტანი (რუს.კავშ.); 16. „ურიების“ გაუვალი, ვეფხვების მხარე; 18. ის, რაზე ამღერებას „ჰპირდებოდა“ იპოლიტე ბერიძე ოჯახის წევრებს (კინო); 19. ნაძვის ხის სახეობა (კინო); 23. აზარტული თამაში, რომელსაც „ბუ“ „ვაშას“ ძახილით თამაშობს (რუს.ნაწ.კავშ.); 26. ილოს ასაწონი ინტონაცია; 28. ქარქაშის დამუხტული ტყავი; 29. მინდვრის იმპერატორი (რუს.კავშ.); 32. „ლიასა“ და „ბასტის“ ასალები ციხე–სიმაგრე; 34. მომგებიანი „ბიძა“; 35. „ლოსის“ მეგობარი პოლონელი მხეცრავი; 36. თუ გინდა კაცისათვის ცუდი, უნდა უსურვო..; 37. რაფაელა კარას საყვარელი თევზი; 38. ქვეყანა, რომლის გაგონებაზე „ლია“ „ბრაზობს“.

**სარგადაყლაპული:** 1. ადგილი ოკეანეში, სადაც დღიური მსახური გეჩითება; 2. რიჩარდის მხეცი „კლიჩკა“; 3. საჭიდაო ლეიბის შემადგენელი ხილი; 4. ანაკონდას მოფერებითი „კლიჩკა“; 5. ცის „ფანტიანი“ ნობათი; 6. თითების ანაბეჭდის ალების მუსიკალური „კლიჩკა“; 7. მისატყეპი და მისაგდები მოლაყბე; 8. მორიელის ნაჩალიჩები გურულთან, რომლისგანაც გურული გადარჩა, მორიელი მოკვდა (ანეკ.); 9. „რიონზე“ გაზრდილი ძვბერძენი პოეტი; 11. „ნასტიას“ სამეფო საგვარეულო; 14. „მხვნელი“ სალებავი; 17. ვირზე სათქმელი ფეხის გადასადგმელი სიტყვა; 20. (კ) – დამრიგებლის მიერ დანიშნული მშობელთა „სასიამოვნო“ თავშეყრა; 21. (ხ) – ყურებზე დასაჭრელი ბოსტნეული; 22. (თ) – ქალაქი, რომლის შექმნას „მალარიჩად“ კაი ჩახოხბილი დასჭირდა; 24. ლიას ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 25. ნავში მოსეირნე ცელქი; 27. პლანეტების მოძრაობის სალეჭი „უშაქრო“ გზა; 30. ფრანგი ავტომრბოლელი, რომელსაც უნდა „აპატიო“ შეცდომები (რუს.ქართ.კავშ.); 31. რა აკავშირებს თანრიგს, სკოლას და პროლეტარიატს; 32. დანიელი მჟავე ფიზიკოსი; 33. რიცხვი, რომელიც ამერიკელ ძიას „აგრესორს“ ხდის (რუს.კავშ.); 34. ეკას საყვარელი აზარტული თამაში.

**დათა კოტია**

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444